

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: ეკონომიკა

ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა

ალეკო ზოიძე

ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი
უცხოური ინვესტიციების დარგობრივი სტატისტიკა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი სიმონ გელაშვილი

თბილისი

2019

ანოტაცია

თემის აქტუალობა - ეკონომიკური ურთიერთობების საერთაშორისო კოორდინაციის ზრდასთან ერთად იზრდება ქვეყნებს შორის თანამშრომლობა, რასაც თან ახლავს ტექნოლოგიური, ინტელექტუალური და ფინანსური რესურსების ურთიერთგაცვლა. ეკონომიკური თანამშრომლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომლის შემოდინება დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე და ამდენად სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინტერესის სფეროა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება საბაზრო ეკონომიკის მქონე იმ ქვეყნებში, სადაც საფინანსო ბაზრის ჩამოყალიბების დონე, რაშიც იგულისხმება საფონდო ბირჟების პრაქტიკულად არასებობის ფონზე საბანკო სექტორში არსებულ დუოპოლიური მდგომარეობა, არ იძლევა კერძო ბიზნესის ეფექტური დაფინანსების საშუალებას. ამ მიზნის ხელშეწყობისა და უზრუნველყოფისათვის აუცილებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობისა და სტრუქტურის ანალიზი, მისი რაოდენობრივი, გეოგრაფიული და თვისებრივი შესწავლა, რაც ეკონომიკური გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტებს, როგორც მთავრობას, ასევე ინვესტორებს გაუწევს ჯეროვან დახმარებას და ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების საწინდარი იქნება.

უკვე მრავალი წელია, რაც ევროკავშირში ინტეგრირება საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს. ამ მხრივ საქართველოს მხრიდან დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ უამრავი ნაბიჯი გადაიდგა. საქართველო აქტიურად ატარებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმების ევროკავშირის რეკომენდაციების პასუხად. ამავე დროს ევროკავშირი მნიშვნელოვან ძალისხმევას და რესურსებს დებს საქართველოში და ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორს ეხმარება დემოკრატიისა და ეკონომიკის განვითარებაში, რაც 2014 წლის 27 ივნისს დაგვირგვინდა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით. შეთანხმება

ითვალისწინებს მყარი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, რეფორმების გატარებას საგადასახადო პროცედურებში, ქვეყნის უფრო მეტად გახსნას საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციებისთვის, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ბიზნეს გარემოს გამარტივებას.

კვლევის მიზნები და ამოცანები - ნაშრომის ძირითადი მიზანია ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკური ანალიზი და მისი გავლენის შეფასება საქართველოს ეკონომიკაზე. ნაშრომის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: ევროკავშირის ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიული განხილვა, მისი წარმოების, აღრიცხვის ასახვა, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე მისი გავლენის შესწავლა, მისი სტატისტიკური ანალიზიგეოგრაფიულ (შემოდინების წყაროები და ნაკადები) და სექტორულ (განთავსების მიმართულებები) ჭრილში.

კვლევის საგანი და ობიექტი - ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს საინვესტიციო გარემო და ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის დინამიკა. კვლევის საგანი კი არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ტენდენციები ევროკავშირის ცალკეული ქვეყნებისა და მათი გაერთიანების, ასევე ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული ინვესტიციების სექტორული განთავსების დინამიკა.

ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები - ნაშრომი ეფუძნება როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მკვლევარების მიერ ჩატარებულ თეორიულ და პრაქტიკულ გამოკვლევებსა და დასკვნებს, ასევე საკანონმდებლო ბაზისა და ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებს.

კვლევის პროცესში გამოყენებულია როგორც ზოგადი, ისე სპეციფიკური მეთოდები და ხერხები, როგორცაა: სტატისტიკური დაჯგუფება, შეფარდებითი და საშუალოების მეთოდი, კორელაციურ-რეგრესიული მეთოდები და ხერხები და ა. შ.

ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა ორგანიზაციების ოფიციალური მონაცემები და სპეციალური სტატისტიკური კვლევების შედეგები.

Annotation

The Relevance of the Research Topic - As the international coordination of economic relations increases, the cooperation between the countries increases with the addition of technological, intellectual and financial resources. One of the most important forms of economic cooperation is the foreign direct investment, which is positively reflected on the economic and social development of the country and is therefore one of the most important interests of the state. The role of foreign direct investments is especially high in the countries with market economies where the level of establishment of financial markets, which implies the duopoly situation in the banking sector against the background of virtually absence of stock exchanges, does not allow the effective financing of private business. For the purpose of promotion and provision of this objective, analysis of the volume and structure of foreign direct investments, its quantitative, geographical and qualitative study, which will provide economic decision-making entities as both the government and the investors will be a good source of support and an effective economic policy.

For many years, integration into the EU is one of the most important goals of Georgia. In this regard, after the restoration of independence from Georgia many steps have been taken. Georgia is actively pursuing political and economic reforms in response to EU recommendations. At the same time, the EU is making significant efforts and resources in Georgia, helping the government and civil society in the development of democracy and economics, which coincided with the signing of the Association Agreement with the European Union on 27 June 2014. The agreement provides for achieving strong economic growth, reforms in tax procedures, opening up the country for foreign trade and foreign investment, improving infrastructure and simplifying business environment.

Goals and Tasks of the Study - The main goal of the thesis is to analyze statistical analysis of foreign direct investments from EU countries and assess its influence on the Georgian economy. The main tasks of the work are: theoretical review of foreign direct investments from the EU countries, its

production, accounting, the study of its influence on the economic development of the country, its statistical analysis of the subjective (flow sources and streams) and sector (placement directions).

The Subject and Object of the Research - The study objective is the investment environment of Georgia and dynamics of the volume of foreign direct investments made from the EU countries. The subject of research is the tendency of foreign direct investment inflows into the dynamics of sectoral deployment of individual EU countries and their union, as well as from EU countries.

Theoretical-Methodological Basis of the Research-The work is based on the theoretical and practical examinations and conclusions conducted by both Georgian and foreign researchers, as well as assessment of legislative basis and local and international organizations in the socio-economic situation existing in the country.

The general and specific methods and methods used in the research process are: statistical group, relative and medium method, correlation-regressive methods and methods.

The paper uses official data of the National Statistics Office of Georgia, World Bank, International Monetary Fund and other organizations and results of special statistical studies.

სარჩევი

შესავალი.....	8
თავი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მისი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის.....	11
1.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ადგილი ფინანსურ ანგარიშში.....	11
1.2 ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკა და საქართველო.....	17
1.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაანგარიშების მეთოდოლოგია საქართველოში და გამოყენებული კლასიფიკატორები.....	25
თავი 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკისა და დარგობრივი სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი.....	41
2.1 პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე მოქმედი ფაქტორები.....	41
2.2 ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა.....	60
2.3 ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების დარგობრივი სტრუქტურა.....	69
დასკვნა.....	85
გამოყენებული ლიტერატურა.....	89

შესავალი

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების ერთ-ერთი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი სფეროა, როგორც ეკონომიკური მნიშვნელობის, სოციალურ ფონზე გავლენისა და მართველობითი გადაწყვეტილებების ფორმირებაზე მისი გავლენის, ისე მისი რაოდენობრივი შესწავლის თვალსაზრისით.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები გულისხმობს მოცემული ქვეყნის რეზიდენტი ეკონომიკური სუბიექტების ეკონომიკურ ურთიერთობებს არარეზიდენტ ეკონომიკურ სუბიექტებთან ანუ „დანარჩენ სამყაროსთან“, რაც ძალიან მრავალფეროვან და მასშტაბურ ურთიერთობათა ჯაჭვს ქმნის. ეს ანგარიშები საშუალებას იძლევა ვუპასუხოთ კითხვებს, თუ რამდენის მოხმარება შეუძლია ქვეყანას და რამდენის - ინვესტირება; რამდენის სესხება შეუძლია „დანარჩენი სამყაროდან“ და რამდენის - გასესხება. მეორე მხრივ, საგარეო სექტორის ანგარიშები საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ქვეყანაში მოხმარებისა და ინვესტირებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების წყაროების პრიორიტეტები: ვაწარმოოთ ისინი თავად, თუ იმპორტს მივანიჭოთ უპირატესობა.

რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის ურთიერთობების შესასწავლად შემდეგი სტატისტიკური ანგარიშები გამოიყენება:

- ❖ საგადასახდელო ბალანსი;
- ❖ საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი;
- ❖ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სხვა ცვლილებების ანგარიშები, როგორებიცაა ღირებულების ცვლილებები და სხვა ნაკადები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ოპერაციებთან და რომლებსაც შესაბამისობაში მოჰყავს ერთმანეთთან საგადასახდელო ბალანსი და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმარტების თანახმად, პირდაპირი ინვესტიცია არის „უცხო ქვეყნის რეზიდენტის მიერ ისეთ ადგილობრივ საწარმოში გაკეთებული ინვესტიცია, რომლის მართვაზეც მას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს“. რეალურად,

„მნიშვნელოვანი გავლენა“ გულისხმობს, რომ ინვესტორი უნდა ფლობდეს კომპანიის აქციათა 10%-ზე მეტს, რაც საჭიროა ხმის მიცემის უფლებისათვის, რათა ჩაითვალოს პირდაპირ ინვესტორად.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ყველა განვითარებადი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია; ამ მხრივ არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს. საქართველოს სურს, თავი დააღწიოს სიღარიბეს და დაეწიოს მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ რეგიონებს. ამისათვის საჭიროა გარე რესურსები, განსაკუთრებით მაშინ, როცა შიდა/ადგილობრივი დანაზოგები ძალიან მცირეა, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაში¹.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გულისხმობს არა მხოლოდ ეკონომიკისათვის ხელმისაწვდომ კაპიტალს, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, უცხოელი ინვესტორების მიერ საქართველოს ეკონომიკისათვის გამოცხადებულ ნდობას. ერთია, ეკონომიკურ პერსპექტივებზე საუბარი, და მეორე, საკუთარი სახსრების დაბანდება სარისკო საქმეში. ძალიან დაბალია ინვესტიციების განხორციელების მოტივი იქ, სადაც რეალურად არ ჩანს ამონაგების მიღების შესაძლებლობა.

ინვესტიციების მოზიდვა ეკონომიკაში მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს. არცთუ ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მთავრობებმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გადამწყვეტი როლი და მნიშვნელობა გააანალიზეს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, გამონაკლისი არც განვითარებადი ქვეყნები ყოფილან. საქართველოსა და აგრეთვე საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მნიშვნელოვანი ოდენობით უცხოური ინვესტიციების მოზიდვას უამრავი მაჩვენებელი განაპირობებს. საქართველოს მაგალითზე, ნეგატიურ ფაქტორებში შეგვიძლია განვიხილოთ მისი მცირე სამომხმარებლო ბაზარი; სამუშაო ძალის რბილად რომ ვთქვათ არც თუ ისე მაღალი კვალიფიკაცია; ქვეყანაში ორი კონფლიქტური რეგიონის არსებობა; დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდანვე არსებული პოლიტიკური არასტაბილურობა და მრავალი სხვა. თუმცა არსებობს

¹ასლამაზიშვილი ნ., მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემები: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა, თბ., 2016.

დადებითი მხარეებიც, როგორებიცაა: გაუმჯობესებული საკანონმდებლო ბაზა; ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ევროკავშირთან, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის უპირატესობა და სხვა. ამ აფექტორების შეჯერების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ჭრილში საქართველო მიმზიდველ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება. თუმცა, ჯერჯერობით, უცხოელი ინვესტორები საქართველოში მაინც იაფი სამუშაო ძალის გამოყენებით, ადგილობრივი ბაზრის ათვისებით არიან დაკავებულნი და ნაკლებად უწყობენ ხელს მაღალტექნოლოგიური, ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარებას. ასევე უნდა ითქვას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ხშირ შემთხვევაში, არა მიმდები ქვეყნის მაჩვენებლების უპირატესობებზე, არამედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმახორციელებელ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზეა დამოკიდებული, აგრეთვე - ისეთ გლობალურ მოვლენებზეც, როგორიცაა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ან პირიქით – მსოფლიო ეკონომიკური ბუმი.

თავი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მისი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის

1.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ადგილი ფინანსურ ანგარიშში

საგადასახდელი ბალანსი იყოფა სამ ქვეანგარიშად. ესენია მიმდინარე ანგარიში, კაპიტალის ანგარიში და ფინანსური ანგარიში. მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშების ბალანსი ასახავს მოცემული ეკონომიკის მდგომარეობას დანარჩენი სამყაროს მიმართ, ხოლო ფინანსური ანგარიში გვიჩვენებს, თუ როგორ ფინანსდება იგი.

ფინანსური ანგარიში ასახავს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებულ ინვესტიციებს და არარეზიდენტების მიერ საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებს. ისინი იყოფიან პირდაპირ ინვესტიციებად, პორტფელის ინვესტიციებად, ფინანსურ წარმოებულებად, სხვა ინვესტიციებად და სარეზერვო აქტივებად;

	ფინანსური აქტივების წმინდა შექმნა	ფინანსური ვალდებულებების წმინდა წარმოქმნა
პირდაპირი ინვესტიციები		
პორტფელის ინვესტიციები		
ფინანსური წარმოებულები და დასაქმებულთა ოფციონები აქციებზე		
სხვა ინვესტიციები		
სარეზერვო აქტივები, სულ		
აქედან: კაპიტალი და ინვესტიციური ფონდების აქციები		
სავალო ინსტრუმენტები		
სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები		
წმინდა გასესხება (+)/სესხება (-)		

სურათი 1.1 ფინანსური ანგარიშის ძირითადი მუხლები.

თითოეული ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის (სსპ) მაჩვენებელი, რომელიც:

- ასახავს საგარეო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მაჩვენებლებს, მათ შორის სხვაობას (წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია);


- ეკონომიკის სექტორების (ეროვნული ბანკი, დეპოზიტური კორპორაციები ეროვნული ბანკის გარდა, სამთავრობო და სხვ. სექტორები) სხვადასხვა ვალდებულებები².

ოფიციალური ინფორმაციით, სსპ-ს მუხლები, ისე, როგორც საგადასახდელო ბალანსების მუხლები, მოიცავს: პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელურ ინვესტიციებს, ფინანსურ წარმოებულებს, სხვა ინვესტიციებსა (სააქციო კაპიტალი, ნაღდი ფული და დეპოზიტები, სადაზღვევო, საპენსიო პროგრამები და სტანდარტული საგარანტიო სქემები ვაჭრობის კრედიტები და ავსებები) და სარეზერვო აქტივებს.

სსპ პერიოდის ბოლოს იანგარიშება, როგორც ნაშთი პერიოდის დასაწყისში დამატებული პერიოდის განმავლობაში მომხდარი ოპერატიული ცვლილება, გაცვლითი კურსისა და ფასის სხვა ცვლილება. ამასთან, ეკონომიკის ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს შორის სხვაობა წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციაა. იგი შეიძლება იყოს წმინდა კრედიტული (+) ან წმინდა დებეტური³.

²<https://www.nbg.gov.ge/>

³ ასლამაზიშვილი ნ., გელაშვილი ს. (2018). საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა. თბილისი



სურ 1.2 საგარეო სექტორის ანგარიშების სტრუქტურა

საგადასახდელო ბალანსისა და საინვესტიციო პოზიციის მონაცემთა გადასინჯვა თავდაპირველად (2007 წლამდე) ეს სტატისტიკის სამსახურის პრეროგატივა იყო. საქართველოში პირველი საგადასახდელო ბალანსი 1995 წელს შემუშავდა. ამჟამად, იგი ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის საიტზე. საქართველოს ეროვნული ბანკი დაწყებული 2014 წლის პირველი კვარტალიდან, საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სტატისტიკას აწარმოებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მიერ 2009 წელს გამოშვებული „საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელოს“ (BPM6)⁴ მე-6 გამოცემის შესაბამისად. ამრიგად, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (IIP) გაიანგარიშება საერთაშორისოდ აპრობირებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლების ადასტურებენ, რომ გრძელვადიან პერიოდში.

საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიში ასახავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაცვლის ოპერაციებს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის.

⁴<https://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2007/pdf/bpm6.pdf>

ფინანსური კონტრაქტების ერთობლიობა, რომლების ხორციელდება ინსტიტუციურ ერთეულებს შორის, წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს. ეს უკანასკნელი კლასიფიცირდება როგორც ფინანსური აქტივები, ან როგორც სხვა ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები ფინანსური მოთხოვნებია, რომელთაც გააჩნიათ თვალსაჩინო ღირებულება. სხვა ფინანსური ინსტრუმენტები (როგორებიცაა ფინანსური გარანტიები, აკრედიტივი, საკრედიტო ხაზი და ა.შ.), რომლებიც პირობითია, სანამ ისინი არ წარმოიქმნება, სცდებიან ფინანსური აქტივების საზღვრებს და კლასიფიცირდებიან როგორც სხვა ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები ეკონომიკური აქტივების ქვესიმრავლეა, რომელთაც ფლობენ ეკონომიკური ერთეულები, ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, და რომელთა ფლობიდან ან გამოყენებიდან მათი მფლობელები იღებენ ეკონომიკურ სარგებელს. ფინანსური აქტივები წარმოადგენს მოთხოვნებს, რომლებიც წარმოიშვება სახელშეკრულებო ურთიერთობების დროს, როცა ერთი ეკონომიკური ერთეული აწვდის ფონდებს მეორე ეკონომიკურ ერთეულს. შესაბამისად, მეორე მხარეს წარმოექმნება ვალდებულებები მომწოდებლის მიმართ. ამდენად, ფინანსური ინსტრუმენტის სტატუსს (აქტივი თუ ვალდებულება) განსაზღვრავს კონტრაგენტებს შორის ხელშეკრულების პირობა. ერთადერთი ფინანსური აქტივი, რომელსაც არ გააჩნია მოკორესპონდენტო ვალდებულების მხარე, არის მონეტარული ოქრო.

ფინანსურ ანგარიშში ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

- პირველი, ინვესტიციების ბუნება: პირდაპირი ინვესტიცია, პორტფელის ინვესტიცია, ვალი, კაპიტალი;
- მეორე, ვადიანობა: გრძელვადიანი, მოკლევადიანი;
- მესამე, ემიტენტის/მფლობელის იდენტიფიკაცია: ეკონომიკის სექტორები, საჯარო (სახელმწიფო), კერძო.

პირდაპირი ინვესტიცია წარმოადგენს ტრანსსასაზღვრო დაბანდებას, რომელიც ასოცირდება მოცემული ქვეყნის რეზიდენტთან, რომელიც ფლობს კონტროლს, ან აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა არარეზიდენტი ქვეყნის საწარმოს მართვაზე. იგი გულისხმობს

იმ სახსრების ერთობლიობას, რომელსაც ერთი ეკონომიკის რეზიდენტი-ეკონომიკური ერთეული (პირდაპირი ინვესტორი) ათავსებს სხვა ეკონომიკის რეზიდენტ-ეკონომიკურ ერთეულში (პირდაპირი ინვესტირების საწარმო-ობიექტში) ხანგრძლივი დროით მის ოპერაციებში მონაწილეობიდან წილის შექმნის მიზნით. პირდაპირი ინვესტიციები ასახავს პირდაპირი ინვესტორის ხანგრძლივ ინტერესებს პირდაპირი ინვესტირების საწარმო ობიექტისადმი, რაც გამოიხატება საწარმოს კონტროლში ან მას ზეგავლენაში. ეს შესაბამისად უზრუნველყოფილია საწარმოს მართვაში 10%-იანი ან მეტი წილით. თუ უცხოელი ინვესტორი შემოდის მოცემული ქვეყნის რეზიდენტ საწარმოში, საქმე გვაქვს შემოსულ პირდაპირ ინვესტიციასთან. გასული პირდაპირი ინვესტიციის შემთხვევაში რეზიდენტი ინვესტორი ახდენს ინვესტირებას არარეზიდენტ საწარმოში. თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საკმაოდ რთული ეკონომიკური ფენომენია. მულტინაციონალური კომპანიების მიერ განხორციელებული ფინანსირების სქემები სულ უფრო კომპლექსური ხდება. ეს გამოწვეულია მათი სურვილით თავი აარიდონ რეგულაციებს და შეიმსუბუქონ საგადასახადო ტვირთი. დაფინანსების ასეთი რთული სტრუქტურები და სქემები გაუგებარს ხდის საკითხს იმის შესახებ, თუ ვინ არის სინამდვილეში თავდაპირველი წყარო პირდაპირი ინვესტიციისა ანუ ვინ არის მთავარი ინვესტორი ქვეყანაში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის წარმოების ტრადიციული მეთოდი ახდენს უშუალო ინვესტორის იდენტიფიცირებას, როგორც პირდაპირი ინვესტორის. თუ ინვესტორი პირდაპირი ინვესტირების ქვეყანაში ინვესტიციას ახორციელებს არაპირდაპირ, მაგალითად სხვა ქვეყანაში განთავსებული თავისი ჰოლდინგური კომპანიის მეშვეობით, მაშინ ინვესტირების ქვეყანაში შესული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აღიქმება ჰოლდინგური კომპანიის ქვეყანასთან და არა თავდაპირველი/მთავარი ინვესტორის ქვეყანასთან. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის ახალი მეთოდოლოგია ითვალისწინებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აღრიცხვას თავდაპირველი/მთავარი პირდაპირი ინვესტორის მიხედვით, რათა მიმღებმა ქვეყნებმა იცოდნენ თუ სინამდვილეში ვინ არის ინვესტიციის წყარო,

საბოლოოდ ვინ აკონტროლებს პირდაპირ ინვესტიციას, ვისზეა რისკები და ვინ იღებს ამ ინვესტიციიდან შედეგებს. ეს მიდგომა იმითაც არის აღსანიშნავი, რომ იგი ნათელს ჰფენს კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან საკითხს: ინვესტიციების „შემობრუნებას“. მაგალითად, შეიძლება რეზიდენტმა ინვესტორმა განახორციელოს პირდაპირი ინვესტიცია უცხოეთში, რომელიც შემდგომში დაბრუნდეს ისევ ქვეყანაში პირდაპირი ინვესტიციის ფორმით. სინამდვილეში, ასეთი ინვესტიცია არ წარმოადგენს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის ახალი მეთოდოლოგია ახდენს იმის იდენტიფიკაციას, რომ ამ გზით შემოსული ინვესტიცია კონტროლდება რეზიდენტი ინვესტორის მიერ. მაგალითად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეთოდოლოგიის ცვლილების გამო აშშ-დან საფრანგეთში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა 2012 წლისთვის 79.6 მლრდ აშშ დოლარიდან 142.1 მლრდ დოლარამდე (ანუ 1.8-ჯერ) გაიზარდა. სამაგიეროდ, მნიშვნელოვნად შემცირდა ლუქსემბურგიდან და ნიდერლანდებიდან განხორციელებული ინვესტიციები ამავე ქვეყანაში, რადგანაც სწორედ ამ ქვეყნებში განლაგებული თავისი ჰოლდინგური კომპანიებიდან ახორციელებდა აშშ თავის პირდაპირ ინვესტირებას საფრანგეთში⁵.

თანამედროვე მსოფლიოში, კაპიტალის საერთაშორისო მობილურობის ზრდასთან ერთად, პირდაპირი ინვესტიციები სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს სხვადასხვა ეკონომიკების საგადასახდლო ბალანსების მდგომარეობაზე. ქვეყნები, სადაც კაპიტალის უკუგება მაღალია, ტექნოლოგიები უკეთესია და ინფრასტრუქტურაც ადეკვატურია, უფრო მეტად მიმზიდველნი არიან პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის. ამისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია პოლიტიკური სტაბილურობის ფაქტორიც. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების ასოციაცია აქვეყნებს ორმხრივ სტატისტიკურ მონაცემებს მსოფლიოს 206 ქვეყნის მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემავალი და გამავალი ნაკადებისა და ნაშთების შესახებ. ეს მონაცემები ეყრდნობა ეროვნულ წყაროებს, თუმცა, თუ ამ წყაროებიდან ინფორმაციის მიღება შეუძლებელია, მაშინ გამოიყენება პარტნიორი ქვეყნების წყაროები.

⁵ასლამაზიშვილი ნ. 2016. მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემები: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა. თბილისი;

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ფინანსური ინსტრუმენტის - საგადასახდლო ბალანსის, ფინანსური ანგარიშის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იძლევა საშუალებას, შეიქმნას პირდაპირი, მდგრადი და ხანგრძლივი კავშირები ეკონომიკებს შორის. FDI მიმღები ეკონომიკისათვის არის შესაძლებლობა, საკუთარი პროდუქტები უფრო ფართო საერთაშორისო ბაზრებზე გაიტანოს. მას ბევრი დადებითი ეფექტის მოხდენა შეუძლია ეროვნულ ეკონომიკაზე თუმცა მნიშვნელოვანია გამოვყოთ შემდეგი პლიუსები:

1) პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ტექნოლოგიების შემოდინების საშუალებაა. კერძოდ, საწარმოო ფაქტორების გამრავალფეროვნების და განახლების გზით. ამგვარი შედეგის მიღწევა შეუძლებელია ფინანსური ინვესტირებით ან ვაჭრობით;

2) პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ზრდის კონკურენციას ადგილობრივ ბაზარზე;

3) პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მიმღებები ხშირად უზრუნველყოფენ თანამშრომლების გადამზადებას ახალი საქმის ასათვისებლად, რასაც წვლილი შეაქვს ქვეყნის ადამიანური კაპიტალის ზრდაში;

4) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდით გამოწვეული მოგების ზრდა იწვევს ქვეყანაში საგადასახადო შემოსავლების ზრდას.

1.2 ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკა და საქართველო

ევროპის კავშირი (შემოკლებით ევროკავშირი) - ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკურ-პოლიტიკური გაერთიანება, 1993 წლამდე ევროპული თანამეგობრობა ერქვა. ორგანიზაციის წევრია ევროპის 28 სახელმწიფო, რომელთა საერთო ფართობი 4 324 782 კმ²-ია, მოსახლეობა - 508 191 116 კაცი. ევროკავშირში მოქმედებს ერთიანი შიდა ბაზარი, რომელსაც წევრი სახელმწიფოების კანონთა სისტემა არეგულირებს. ევროკავშირის

ძირითადი პოლიტიკის მიზანია ადამიანების, საქონლის, სერვისებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა ერთიან, შიდა ბაზარზე; იურისპუდენციული კანონმდებლობისა და საშინაო საქმეების გამოცემა; საერთო პოლიტიკის შენარჩუნება ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობაში, თევზის რეწვასა და რეგიონულ განვითარებაში. შენგენის ზონაში გაუქმებულია საპასპორტო კონტროლი. 1999 წელს გადაწყდა ერთიანი ვალუტის (ევროზონა) შემოღება, რაც ძალაში 2002 წელს შევიდა; ამჟამად ევროზონა 19 სახელმწიფოს აერთიანებს, რომლებშიც ევრომონეტარული ერთეული ევროს დანართი იღებს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებისგან და ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისგან, რომლებიც 1951 და 1958 წელს ექვსმა სახელმწიფომ შექმნა. გაერთიანებები ახალი წევრი სახელმწიფოების მიღების შედეგად ტერიტორიულად გაიზარდა, ძალაუფლება კი სხვადასხვა პოლიტიკის დამატების შედეგად. 1993 წელს, მასტრიხტის ხელშეკრულების შედეგად, შეიქმნა ევროპის კავშირი, რომელმაც ასევე შემოიღო ევროპის მოქალაქეობის ინსტიტუტი. 2009 წელს ძალაში შევიდა ევროკავშირის კონსტიტუციური საფუძვლის ბოლო, ძირითადი შესწორება - ლისაბონის ხელშეკრულება. 2016 წლის 23 ივნისს, გაერთიანებულმა სამეფომ რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა ევროკავშირიდან გასვლას.


ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები არიან: ბელგია, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, საფრანგეთი დანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია საბერძნეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ავსტრია, ფინეთი, შვედეთი, ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი, რუმინეთი და ხორვატია⁶.

⁶ https://en.wikipedia.org/wiki/European_Union



სურ.1.3 ევროკავშირის რუკა

ევროკავშირი, რომელშიც მსოფლიო მოსახლეობის 7,3 % ცხოვრობს, 2014 წელს აწარმოებდა 18 748 მლრდ. დოლარ მთლიან შიდა პროდუქტს (GDP), რაც გლობალური GDP-ის 24%-ია და მსყიდველობითი უნარის პარიტეტის 17%.



გარდა ამისა, გაეროს განვითარების პროგრამის თანახმად, ევროკავშირის 28 ქვეყნიდან 26-ის ადამიანის განვითარების ინდექსი არის ძალიან მაღალი.

ევროკავშირის წევრობის კანდიდატი სახელმწიფოები: თურქეთი, ჩრდილოეთი მაკედონია, ისლანდია, სერბეთი, ჩერნოგორია, ალბანეთი. ევროკავშირის წევრი შეიძლება გახდეს ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც აღიარებს პლურალისტურ დემოკრატias, კანონის უზენაესობას, იცავს საკუთარი მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებებს, გააჩნია გამართული და კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკა, იზიარებს ევროკავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზნებს.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1992 წელს დაიწყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა და დღეს, საქართველო ევროკავშირის ასოცირებული წევრია.

ევროკავშირი 28 სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა. საქართველოსთვის ევროკავშირთან ეკონომიკურ ურთიერთობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ევროპული სტანდარტების დაკმაყოფილება საქართველოში წარმოებულ საქონელსა

და მომსახურებას გზას გაუხსნის უმსხვილესი ბაზრისკენ. ქართული პროდუქციის თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას. ის გახდება უფრო მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორთათვის, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური სტაბილურობის თვალსაზრისით, რაც გამოიწვევს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

ორმხრივი ურთიერთობები უფრო ინტენსიური 2003 წლიდან ხდება, როცა საქართველო აქტიურად იწყებს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას. ამ ურთიერთობებში სრულიად ახალი ეტაპი კი 2014 წლის 27 ივნისიდან იწყება, როდესაც ასოცირების შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი. საქართველო აქტიურად აგრძელებს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს და ამ პროცესის შესაბამისად სახელმწიფოებრივ განვითარებას⁷.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას ოფიციალურად ეწოდება ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის. მოლაპარაკებები ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ოფიციალურად დაიწყო 2010 წლის ივლისში და დასრულდა 2013 წლის ივლისში. შეთანხმების პარაფირება მოხდა 2013 წლის 29 ნოემბერს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტის ფარგლებში. მას ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში. ამ შეთანხმების გაფორმების პერსპექტივა გაიხსნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივით და ჩაანაცვლა 1996 წელს ხელმოწერილი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება.

ასოცირების შესახებ შეთანხმება არის საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. ის, აგრეთვე, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive

⁷ <http://infocenter.gov.ge/euinfo-history/>

Free Trade Area - DCFTA)⁸ და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს. შეთანხმება ევროკავშირსა და მის კანონმდებლობასთან დაახლოების იმდენად მაღალ დონეს მოიცავს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. ასოცირების შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. შეთანხმებაში აღიარებულია საქართველოს ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი, აღნიშნულია, რომ ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი – დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა ასევე წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ქვაკუთხედს.

შეთანხმება მოიცავს სხვადასხვა საკითხებს. მათ შორისაა ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) ჩამოყალიბებას. ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს. ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების მონიტორინგის მიზნით, შეიქმნა ასოცირების საბჭო (მინისტრების დონეზე), ასოცირების კომიტეტი (მინისტრის მოადგილეების დონეზე), რომელიც ასოცირების საბჭოს ეხმარება მოვალეობებისა და ფუნქციების შესრულებაში.

ქართულ საფინანსო ბაზარზე არსებული დუოპოლიური მდგომარეობა და კონკურენციის დაბალი დონე იწვევს ბაზრის ეფექტიანობის შემცირებას კერძო ბიზნესის დაფინანსების კუთხით. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების, როგორც დაფინანსების ალტერნატიული წყაროს არსებობა და შესაბამისად, მისი ხელშეწყობა აუცილებელია.

⁸ <http://www.dcfta.gov.ge/>

ევროკავშირის პოლიტიკიდან ნათლად ჩანს, რომ გაფართოების პოლიტიკა⁹ გეოგრაფიულ-რეგიონული ხასიათისაა. გაფართოების ინტერესი არსებული პრაქტიკის მიხედვით ახალი რეგიონის და არა ქვეყნის მიმართულებით ფორმირდება. ამის მაგალითად შეიძლება თურქეთისთვის კანდიდატი სახელმწიფოს სტატუსის მხოლოდ 1999 წელს მინიჭება მოვიტანოთ: ის ამ სტატუსს 1987 წლიდან (განაცხადის შეტანის დღიდან) ელოდა, მაგრამ გადაწყვეტილება ევროკავშირმა მხოლოდ მაშინ მიიღო, როდესაც დასავლეთი ბალკანეთის ინტეგრირების ამბიცია გაჩნდა და თურქეთი ამ რეგიონული (სამრეთ-აღმოსავლეთ ევროპა) კონტექსტის ნაწილად წარმოჩნდა. ასევე საგულისხმოა მალტისა და კვიპროსის საკითხი, რომლებმაც განაცხადები 1990 წელს გააკეთეს. მათი გაწევრიანება წმინდა გეოგრაფიული (ნაწილობრივ ისტორიული) ფაქტორიდან გამომდინარე გადაწყდა შედარებით მარტივად. ეს ორივე სახელმწიფო ევროკავშირის უახლოესი გეოგრაფიული მეზობელი იყო და, ამავე დროს, ისტორიულად ძალზე მჭიდროდ დაკავშირებული წევრ სახელმწიფოებთან. ევროკავშირის გაფართოების პროცესი გაძლიერებული რეგიონული თანამშრომლობის ფონზე მიმდინარეობს, რაც გრძელვადიანი სტაბილურობისა და განვითარების მიზანს ემსახურება. ინფრასტრუქტურული კავშირები აუცილებელი პირობაა ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის.

ევროკავშირის ინსტიტუტები საქართველოსთან, მოლდოვასთან და უკრაინასთან მიმართებაში დაახლოებით იმავე ლოგიკით მოქმედებენ, როგორც გაფართოების კანდიდატ ქვეყნებში. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი ტრანსფორმაციის მიზნები, ისევე, როგორც ხარისხი მათისაბოლოო შედეგისა არაფრით განსხვავდება კანდიდატი სახელმწიფოსთვის დადგენილი სტადარტებისგან. ასევე, თითქმის გათანაბრებულია დაფინანსების წყაროების მოცულობა. მაგალითად, IPA II-ის დაფინანსება 2014-2020 წლებისთვის პრაქტიკულად ზუსტად იგივეა (თითქმის 12 მილიარდი ევრო), რაც ENPI-ისა. EIB-საც ისეთივე მანდატი აქვს მინიჭებული ახლად ასოცირებულ სახელმწიფოებში, როგორც დასავლეთ ბალკანეთში. თავისუფალი ვაჭრობის

⁹ <http://infocenter.gov.ge/euinfo-expansion-eu/>

რეჟიმი, პოლიტიკური თანამშრომლობის ფორმები, პროგრამებსა და სააგენტოებში მონაწილეობა პრაქტიკულად იგივეა, რაც გაფართოების რეგიონისა.

საქართველოსა და ევროკავშირის 27 წლიანი ურთიერთობის განმავლობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი შეთანხმება შედგა, რომლებმაც ხელი შეუწვევს ჩვენს ეკონომიკურ ინტეგრაციას ევროპის მასშტაბით. გავეცნოთ რამდენიმე მათგანს:

1996 წლის 22 აპრილს, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას (PCA) რომლის მიზანიც ორმხრივი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება გახლდათ.

2008 წლის 22 ოქტომბერს, ქ. ბრიუსელში, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით გაიმართა დონორთა კონფერენცია, რომელზეც საქართველოსთვის გამოყოფილმა დახმარებამ 2008-2010 წლებისთვის 4.5 მილიარდი დოლარი შეადგინა.

2014 წლის 27 ივნისს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმებას. ეს შეთანხმება „ე.წ. „ახალი თაობის“ შეთანხმებაა, რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის კომპონენტს. ის მნიშვნელოვანია სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით. ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი გარკვეული პირობების (სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტები) დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევა ევროკავშირის ბაზარზე.

2018 წლის 21 მარტს თბილისში ევროკავშირმა საკუთარი საგარეო საინვესტიციო გეგმა (EIP) წარადგინა. ამ გეგმის მიხედვით, 2017-2020 წლებში ევროკავშირი საჯარო და კერძო სექტორიდან ინვესტიციების მობილიზებას მოახდენს მსოფლიოს მასშტაბით 70-ზე მეტი ეკონომიკისთვის, მათ შორის საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებისთვის.

2019 წლის 15 იანვარს, ევროკომისიამ გამოაქვეყნა ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის (TEN-T) საინვესტიციო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებში ურთიერთკავშირების გაძლიერებას და ეკონომიკური ზრდის წახალისებას. საინვესტიციო გეგმის ფარგლებში იდენტიფიცირებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე საქართველოსა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ დანარჩენ ქვეყნებში, ჯამში 13 მილიარდი ევრო დაიხარჯება.

1.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაანგარიშების მეთოდოლოგია საქართველოში და გამოყენებული კლასიფიკატორები

საგარეო სექტორის ანგარიშების წარმოების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს საგადასახდლო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის სახელმძღვანელო (BPM6), რომელიც მომზადდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ და გამოიცა 2009 წელს.

სახელმძღვანელო აწესებს მოცემულ ქვეყანასა და დანარჩენ სამყაროს შორის განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციებისა და ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობის სტატისტიკური შესწავლის სტანდარტულ სტრუქტურას.

სახელმძღვანელოს მთავარი მიზანია:

- საგადასახდლო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის კონცეფციების, ცნებები, კლასიფიკაციების განმარტება;
- მონაცემთა საერთაშორისო შესადარისობის გაფართოება და უზრუნველყოფა;
- საგადასახდლო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის სტატისტიკის სხვა მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებთან კავშირების დადგენა და ახსნა;
- საგადასახდლო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის სტატისტიკის მონაცემთა გამოყენების ძირითადი მიმართულებების მიმოხილვა.

სახელმძღვანელო უკეთესად არის ჰარმონიზებული სხვა მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებთან (ეროვნულ ანგარიშთა სისტემა - 2008, მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა - 2000, სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა - 2014), ვიდრე მისი წინამორბედი გამოცემები (1948, 1950, 1961, 1977 და 1993).

სახელმძღვანელო შედგება 14 თავისა და 9 დანართისაგან. თავები 1-6 ეძღვნება შესავალ საკითხებს:

- თავი 1 - სახელმძღვანელოს წინაპირობები¹⁰;
- თავი 2 - აღრიცხვიანობის და გავრცელების ჩარჩოები;
- თავი 3 - აღრიცხვიანობის პრინციპები;
- თავი 4 - ეკონომიკური ერთეულები, სექტორები და რეზიდენტობა;
- თავი 5 - აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია;
- თავი 6 - ფუნქციონალური კატეგორიები.

თავები 7-13 ეძღვნება კონკრეტულ ანგარიშებს:

- თავი 7 - საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა;
- თავი 8 - ფინანსური ანგარიში;
- თავი 9 - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სხვა ცვლილებები;
- თავი 10 - საქონლისა და მომსახურების ანგარიშები;
- თავი 11 - პირველადი შემოსავლების ანგარიში;
- თავი 12 - მეორადი შემოსავლების ანგარიში;
- თავი 13 - კაპიტალის ანგარიში.
- თავი 14 მიმოიხილავს საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის სტატისტიკის ანალიზის ძირითად მიმართულებებს.

სახელმძღვანელოს დანართების დანიშნულებაა უფრო დეტალურად განიხილოს საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის სტატისტიკის სხვადასხვა საკითხები, დაგვანახოს ის ცვლილებები, რაც განიცადა სახელმძღვანელომ მე-5 გამოცემასთან შედარებით. საგადასახდელო ბალანსისა და

¹⁰ <http://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2007/bopman6.htm>

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის სახელმძღვანელოს მეექვსე გამოცემა ძალიან ბევრ კითხვას სცემს პასუხს, რომლებიც ობიექტურად გაჩნდა მსოფლიო ეკონომიკაში სახელმძღვანელოს მეხუთე გამოცემის შემდგომ განვლილ პერიოდში. დღეისათვის სახელმძღვანელო გამოცემულია ინგლისურ, არაბულ, ესპანურ, რუსულ, ფრანგულ და ჩინურ ენებზე. იმისათვის, რომ სახელმძღვანელოს მეთოდოლოგიური დებულებების პრაქტიკაში გამოყენება გაადვილდეს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 2014 წელს გამოიცა „საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის შედგენის გზამკვლევი“, რომელიც 17 თავისა და 8 დანართისაგან შედგება. იგი მთლიანად იმ პრაქტიკულ საკითხებს ეხება, რაც დაკავშირებულია საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის შედგენასთან და წარმოებასთან. გზამკვლევში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სათანადო ინფორმაციული წყაროების მოპოვების საკითხებს, სხვა მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებთან შესაბამისობის თემებს, სახელმძღვანელოს მე-5 და მე-6 გამოცემების შესაბამისობის მატრიცის განხილვას და ა.შ.

ამდენად, საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო წარმოადგენს საგარეო სექტორის სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიურ საფუძველს. საგარეო სექტორის სტატისტიკა, ანუ საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის სტატისტიკა, თავის მხრივ, წარმოადგენს მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს, რომელიც დანარჩენ სისტემებთან - ეროვნულ ანგარიშებთან, მონეტარულ და ფინანსურ სტატისტიკასთან და სამთავრობო ფინანსების სტატისტიკასთან ერთად ემსახურება ამა თუ იმ ეროვნული ეკონომიკის ერთ მთლიანობაში შესწავლას.

1993 წლიდან 2007 წლამდე საგარეო სექტორის ანგარიშებს აწარმოებდა სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ხოლო 2007 წლიდან საქართველოში საგარეო სექტორის სტატისტიკის წარმოებასა და გავრცელებაზე პასუხისმგებლობა გადაეხარა საქართველოს ეროვნულბანკს. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული

კანონის მე-3 მუხლის - „ეროვნული ბანკის ამოცანები და ფუნქციები“ - მე-3 პუნქტის თ) ქვეპუნქტის თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ფუნქციაა „საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად აწარმოოს და გაავრცელოს ქვეყნის საფინანსო და საგარეო სექტორების სტატისტიკა“, თუმცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკას დღემდე აწარმოებს ისევ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური¹¹.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ფინანსური ინსტრუმენტის - საგადასახდელი ბალანსის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. მისი გაანგარიშება საქართველოში ხორციელდება 1997 წლიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის „საგადასახდელი ბალანსის სახელმძღვანელო“ (სსფ, ვაშინგტონი, აშშ, 1993წ., მეხუთე გამოცემა), ხოლო 2009 წლიდან „საგადასახდელი ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელო“ (სსფ, ვაშინგტონი, აშშ, 2008წ., მეექვსე გამოცემა) მიხედვით. გარდა აღნიშნული მეთოდოლოგიისა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზუსტი განსაზღვრის, პირდაპირი ინვესტიციების საწარმოო კავშირების სწორად დადგენისათვის და ზუსტი გაანგარიშების წარმოებისათვის გამოიყენება ასევე „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტანდარტული განსაზღვრება“ (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, პარიზი, საფრანგეთი, 2008წ., მეოთხე გამოცემა), ასევე, სსფ-ის მიერ 2008 წლის დეკემბერში გამოცემული „კოორდინირებული პირდაპირი ინვესტიციების გამოკვლევის სახელმძღვანელო“. FDI საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორიაა, რომელიც გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოებას. პირდაპირი ინვესტიციები მოიცავს არა მხოლოდ კაპიტალის ჩადების საწყის ოპერაციას, არამედ ყოველ შემდგომ ოპერაციას პირდაპირ ინვესტორსა და პირდაპირი ინვესტიციების

¹¹<https://www.nbg.gov.ge/>

საწარმოს შორის. პირდაპირია ინვესტორი, რომელიც ფლობს საწარმოს აქციების არანაკლებ 10 პროცენტს ან ასეთი მონაწილეობის ექვივალენტს. პირდაპირი ინვესტორის როლში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური პირები, კორპორირებული ან არაკორპორირებული კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები. FDI-ის ძირითად წყაროებს წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ წარმოებული კვარტალური და წლიური პერიოდულობის სტატისტიკური გამოკვლევა საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა, ინფორმაცია მიიღება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და ასევე აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან არარეზიდენტი სუბიექტების მიერ პრივატიზებული ობიექტების შესახებ. საქართველოს ეროვნული ბანკი აწარმოებს საქართველოს საფინანსო სფეროში, კერძოდ, კომერციულ ბანკებში, სადაზღვევო კომპანიებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში განხორციელებული FDI-ის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებას და ყოველკვარტალურად საქსტატისათვის მიწოდებას. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ სტატისტიკური გამოკვლევა მოიცავს ეკონომიკურ სუბიექტებს საქართველოს ყველა რეგიონიდან (კონტროლირებად ტერიტორიებს). გამოსაკვლევ ობიექტთა შერჩევა ხორციელდება შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით:

- საწარმოს ჰყავს არარეზიდენტი დამფუძნებელი (მესაკუთრე);
- ახორციელებს ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს;
- არარეზიდენტებისგან აქვს აღებული სესხი ან გაცემული მათზე;
- დეპოზიტები აქვს განთავსებული არარეზიდენტ ბანკებში;
- ფლობს არარეზიდენტი საწარმოს საწესდებო ან სააქციო კაპიტალის 10% და მეტს;
- არარეზიდენტებს უწევს ან მათგან იღებს მომსახურებას.

ყოველკვარტალურად ხორციელდება შერჩეულ საწარმოთა განახლება მათი საქმიანობისა და დამფუძნებელთა კლასიფიკაციის მიხედვით. FDI-ის ძირითადი კომპონენტებია: სააქციო კაპიტალი, რეინვესტიცია და სავალო ვალდებულებები. 1997 წლიდან მონაცემები

მუშავდება ინვესტორი ქვეყნების მიხედვით. 2007 წლიდან გამოკვლევის ინსტრუმენტარში შევიდა გარკვეული ცვლილებები, რაც მონაცემების დამუშავების საშუალებას იძლევა ეკონომიკის სექტორების ჭრილში, რასაც საფუძვლად უდევს საწარმოთა ძირითადი საქმიანობის სახე. მონაცემთა სხვადასხვა ინფორმაციული წყაროების საფუძველზე შესაძლებელია FDI-ის მონაცემთა გაანგარიშება ინფორმაციის წყაროების მიხედვით. 2009 წლიდან მონაცემები ხელმისაწვდომია რეგიონულ ჭრილში. 2016 წლიდან - მონაცემები ქვეყნდება შემადგენელი კომპონენტების მიხედვით (სააქციო კაპიტალი, რეინვესტიცია და სავალო ვალდებულებები). შესაბამისი მაჩვენებლის დინამიკური მწკრივები ხელმისაწვდომია 2013 წლიდან¹².

2018 წლის მარტიდან საქსტატმა დაიწყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობის ამსახველი მონაცემების გამოქვეყნება ინტეგრირებული ფორმატით, რაც ოპერაციებთან ერთად ითვალისწინებს ნაშთების ასახვას (დინამიკური მწკრივები ხელმისაწვდომია 2016 წლიდან). წინასწარი მონაცემების გამოქვეყნება წარმოებს ყოველკვარტალურად საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 70-ე დღეს. ოთხი კვარტალის შეჯამებით მიიღება წინასწარი წლიური მონაცემები, რომლის დაზუსტებაც წარმოებს წლიური გამოკვლევის მონაცემების საფუძველზე მომდევნო წლის 15 აგვისტოს. დაზუსტებული მონაცემები ყოველთვის განსხვავებულია წინასწარისგან. ამის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მიზეზი ისაა, რომ საწარმოები წელიწადში ერთხელ წარმოგვიდგენენ დაზუსტებული მოგება-ზარალის მაჩვენებლებს. რადგან FDI ფინანსური კატეგორიაა და არ წარმოადგენს ინვესტიციას განხორციელებულს მხოლოდ ფიქსირებულ აქტივებში, მისი დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობაც საერთაშორისო მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში და სტანდარტებში თავსდება.

პირდაპირი უცხოური ინვეტიციების დაანგარიშება საწარმოთა მიერ შევსებული საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევის საფუძველზე ხდება შემდეგი ოპერაციების დაანგარიშებით:

¹² <https://www.geostat.ge/media/19365/pirdapiri-ucxouri-investiciebis-statistikis-mokle-metodologia.pdf>

- + წილის ცვლილებით გამოწვეული ცვლილება
- + საემისიო კაპიტალი
- + პრივილეგირებული აქციები
- + მოგება/ზარალი
- + სარეზერვო კაპიტალი
- + სხვა რეზერვები
- + სხვა დაფინანსება
- + სხვა ფასიანი ქაღალდები
- არარეზიდენტებზე ფაქტობრივად გაცემული დივიდენდები
- + მიღებული ავანსი თანხის სახით
- + მიღებული ავანსი საქონელის/მომსახურების სახით
- გაცემული გრძელვადიანი სესხები
- + გრძელვადიანი სესხებიდან მიღებული შემოსავალი
- გაცემული მოკლევადიანი სესხები
- + მოკლევადიანი სესხებიდან მიღებული შემოსავალი
- გაცემული ავანსი თანხის სახით
- გაცემული ავანსი საქონელის/მომსახურების სახით
- + პირდაპირი ინვესტორებისაგან მიღებული სესხები
- პირდაპირი ინვესტორებისაგან მიღებული სესხების გადახდა
- + პირდაპირი ინვესტორებისაგან მიღებულ სესხებზე %-ის დარიცხვა
- პირდაპირი ინვესტორებისაგან მიღებულ სესხებზე დარიცხული %-ის გადახდა
- + პირდაპირი ინვესტორებისაგან მიღებულ სესხებზე ჯარიმის დარიცხვა
- პირდაპირი ინვესტორებისაგან მიღებულ სესხებზე დარიცხული ჯარიმის გადახდა
- გაცემულ გრძელვადიან სესხებზე დარიცხული პროცენტი
- გაცემულ მოკლევადიან სესხებზე დარიცხული პროცენტი

FDI-ის შემცირების მიზეზებს შორის აღსანიშნავია: რეზიდენტის მიერ არარეზიდენტის წილის შეძენა, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის რეკლასიფიკაცია პორტფელის

ინვესტორად ან სხვა არარეზიდენტ ინვესტორად ან რეზიდენტ ერთეულად, რეზიდენტი საწარმოს მიერ არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ არსებული ვალდებულებების შემცირება.

მონაცემების კორექტირება ხორციელდება საქსტატის მიერ შემუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად (რეგულარული გადასინჯვის პრინციპის საფუძველზე) რესპონდენტების/ადმინისტრაციული წყაროების მიერ მონაცემების დაზუსტების შედეგად.

მაგალითად, 2017 წლის III კვარტლის წინასწარი მონაცემების გამოქვეყნებისას შესრულდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 2016 წლის ნოემბერში ვიზიტის დროს წარმოდგენილი რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემთა ხანგრძლივი დინამიკური მწკრივის გადასინჯვას, აუცილებელი ცვლილებების განსაზღვრას და საქსტატის და ეროვნული ბანკის მიერ წარმოებულ მონაცემებს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფას. ზემოაღნიშნული ცვლილებები შეეხო 2002-2016 წლების მონაცემებს.

2018 წლის მარტიდან (2018 წლის I კვარტლის წინასწარი მონაცემების გამოქვეყნებიდან) საქსტატმა დაიწყო საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკის გამოქვეყნება ინტეგრირებული ფორმატით. ამით შესრულდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 2016 წლის ნოემბერში ვიზიტის დროს წარმოდგენილი მორიგი რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიციის მონაცემების წარმოებას ინტეგრირებული ფორმატით (საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობის სტატისტიკის შესაბამისად, რომელიც ნაკადებთან ერთად ითვალისწინებს ნაშთების ასახვასაც), რაც საშუალებას აძლევს ეკონომიკურ სუბიექტებს, რეგულარულად მიაწოდონ საქსტატს დაზუსტებული ინფორმაცია. საქსტატი, თავის მხრივ, იყენებს აღნიშნულ შესაძლებლობას და მუდმივად

ახორციელებს მონაცემთა განახლებას სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის ამაღლების მიზნით.

ამ პროცესმა კიდევ ერთხელ გამოიწვია მონაცემთა ისტორიული დინამიკური მწკრივების გადასინჯვისა და დაზუსტების აუცილებლობა ნაშთების შესაბამისად. ცვლილებები შეეხო 2006-2017 წლების მონაცემებს. შედეგები შესაბამისად აისახება საგადასახდელო ბალანსის, საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობის და საგარეო ვალის სტატისტიკაშიც, რომელთა კომპილაციაც ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

რაც შეეხება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის წარმოების პროცესში გამოყენებულ კლასიფიკატორებს, საქსტატი იყენებს მსოფლიო ქვეყნებისა და ტერიტორიების კლასიფიკატორს, ეკონომიკური საქმიანობების კლასიფიკატორს, ვალუტების კლასიფიკატორს¹³.

ზოგადად, კლასიფიკატორები წარმოადგენს ამა თუ იმ ერთობლიობის ერთეულთა იერარქიულ წყობას, რომელიც უზრუნველყოფს მართვის სისტემების და მონაცემთა ბაზების ინფორმაციულ თავსებადობას, წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის საკლასიფიკაციო სისტემა, რომელიც აწესრიგებს და უნიფიცირებულს ხდის სტატისტიკურ ინფორმაციას. კლასიფიკაციების დანიშნულებაა შესასწავლი ერთობლიობა დააღაგოს ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით ერთგვაროვან ჯგუფებად, კლასებად ან სხვა დონეებად, რათა შემდეგ მის საფუძველზე მოხდეს სათანადო ინფორმაციული მასალის სისტემატიზაცია ანალიტიკური და სხვა მიზნებისათვის.

2007 წლიდან გამოკვლევის ინსტრუმენტარში შევიდა გარკვეული ცვლილებები, რამაც საშუალება მისცა საქსტატს მონაცემები დაემუშავებინა ეკონომიკის სექტორების ჭრილში, რასაც საფუძვლად უდევს საწარმოთა ძირითადი საქმიანობის სფეროებად დაყოფა, ხოლო საქმიანობების განაწილება ხდება ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის - სეკ (NACE Rev.2) 006-2016 (2016 წ.) მიხედვით, რომელიც წარმოადგენს მისი წინამორბედის

¹³<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/125/klasifikatsiebi>

ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის - სეკ (NACE Rev.1) 001-2004 (2004 წ.) განახლებას. ის დამტკიცებულია საქსტატის საბჭოს მიერ და შემოღებულია სამოქმედოდ 2016 წლის პირველი იანვრიდან და წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული სტატისტიკური კლასიფიკატორის ოფიციალურ ვერსიას, რომელიც შემუშავებულია ევროკავშირის სტატისტიკური ეკონომიკური საქმეების კლასიფიკატორის NACE REV. 2 Statistical classification of economic activities in the European Community-ს ბაზაზე.

ასეთი გამოცემის აუცილებლობა განპირობებული იქნა მსოფლიოს სტატისტიკოსების (მათ შორის გაეროსა და ევროკავშირის სტატისტიკური სამსახურების) მოთხოვნილებით კიდევ უფრო აქტიურობით სხვადასხვა ქვეყნებში წარმოებული ოფიციალური სტატისტიკის თავსებადობისა და ჰარმონიზების დონე. ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორის ეს ვერსია განიხილება, როგორც საერთო სტატისტიკური ენის ნაწილი.

2006 წლის ოქტომბერში მიღებული იქნა ევროკავშირის გადაწყვეტილება სტატისტიკურ საკლასიფიკაციო სისტემაში ცვლილებების შეტანის შესახებ. მისი გადამუშავება განპირობებული იქნა მსოფლიოში ტექნოლოგიების და საერთაშორისო ნორმების განვითარებითა და ცვლილებებით.

კლასიფიკატორის ევროპული ვერსია ადაპტირებულია გაეროს საქმიანობის სახეების კლასიფიკატორთან (ISIC). მისი სტრუქტურა მნიშვნელოვნად იქნა დეტალიზებული ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკური საქმიანობების სახეების წარმოსაჩენად, რომლებიც არასაკმარისად იყო ასახული ძველ ვერსიაში. ამასთან ერთად გათვალისწინებული იქნა ეროვნული კლასიფიკატორების სპეციფიკური მახასიათებლები, რის გამოც კლასიფიკატორში შეყვანილი იქნა არა მარტო ის საქმიანობები, რომლებიც მნიშვნელოვანია ევროკავშირის ყველა ქვეყნისთვის, არამედ ისეთებიც, რომლებიც მნიშვნელოვანია ზოგიერთი ცალკეული ქვეყნისთვის, მაგრამ არცთუ ისე მნიშვნელოვანია სხვებისთვის. ამ გარემოებამ განაპირობა კლასიფიკატორის დაჯგუფებების მნიშვნელოვანი გაზრდა.

ძირითადი ყურადღება მიექცა საქმიანობის განვითარებად სახეებს, რომელთა როლი მკვეთრად გაიზარდა (მაგალითად, საქმიანობები, დაკავშირებული ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან, არაფორმალური საქმიანობები, ნარჩენების მოცილებასთან და რესტრუქტურისაზიასთან დაკავშირებული საქმიანობები, შინამეურნეობების საქმიანობები და სსვ.) და პარალელურად აღიარებული იქნა ის გარემოებაც, რომ რიგი საქმიანობების სახეების როლი შემცირდა (მაგალითად, იმ საქმიანობების, რომლებიც დაკავშირებულია მოპოვებით მრეწველობასთან).

NACE Rev 2 კლასიფიკატორის დანერგვა უზრუნველყოფს:

- ქვეყნის ეკონომიკაში სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარებას საწარმოების და ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით;
- ეროვნულ ანგარიშთა სისტემის პრინციპებზე აგებული მაკროეკონომიკური მოდელირების ამოცანების გადაჭრას;
- საწარმოების და ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო, ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის, ბიუჯეტის ფორმირების, შემოსავლების, მათი განაწილების, მოხმარების, კაპიტალის ფორმირების, საგარეო ეკონომიკური თანამშრომლობის დასახასიათებლად სამუშაოების ჩატარებას;
- საქართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთიან სახელმწიფო რეგისტრში საწარმოების და ორგანიზაციების რეგისტრაციას ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით;
- ერთიანი სტატისტიკური ტერმინოლოგიის გამოყენებას ევროკავშირში მიღებული სტატისტიკური ერთეულების განსაზღვრის მიზნით;
- ეროვნული სტატისტიკური ინფორმაციის შესადარისობას საერთაშორისო დონეზე და სხვ. ეს კლასიფიკატორი აგრეთვე გამოიყენება სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, სერტიფიცირების, საწარმოო-საფინანსო, საბანკო, საბაჟოსატარიფო და სხვა სამსახურების საქმიანობაში.

ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორი შედგება ორი ბლოკისგან: საიდენტიფიკაციო და დასახელებების ბლოკი. საიდენტიფიკაციო ბლოკს აქვს კლასიფიკაციის იერარქიული სტრუქტურა და კოდირების სისტემა ანბანურ-ციფრული კოდის გამოყენებით.

საკლასიფიკაციო ობიექტის კოდს აქვს შემდეგი სახე:

Y XX.XX.X

სადაც

Y – სექცია

XX – განყოფილება

XX.X – ჯგუფი

XX.XX – კლასი

XX.XX.X – ქვეკლასი (მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა საჭიროება მოითხოვს ეროვნული ნიშნით კლასიფიცირებას)

საბოლოოდ მონაცემების გამოქვეყნება მიმდინარეობს გამსხვილებული სექციების ჭრილში

- Y (მაგ: სოფლის მეურნეობა და თევზჭერა, სამთომოპოვებითი მრეწველობა და ა. შ.)

სექცია A	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა
განყოფილება 01	მემცენარეობა და მეცხოველეობა, ნადირობა და აღნიშნულ სფეროებში მომსახურების გაწევა
განყოფილება 02	მეტყევეობა და ხე-ტყის დამზადება
განყოფილება 03	თევზჭერა და აკვაკულტურა.....
სექცია B	სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება.....
განყოფილება 05	ნახშირის და ლიგნიტის მოპოვება.....
განყოფილება 06	ნედლი ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვება.....
განყოფილება 07	ლითონის მადნების მოპოვება
განყოფილება 08	სამთომოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების სხვა დარგები.....
განყოფილება 09	სამთომოპოვებითი მრეწველობის დამხმარე მომსახურება.....

სურ.1.4 „ეკონომიკური საქმიანობების კლასიფიკატორი“ - NACE Rev. 2 (ამონარიდი)

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკაში საქმიანობის სახეების კლასიფიკატორთან ერთად აქტიურად გამოიყენება „სოფლიოს ქვეყნებისა და ტერიტორიების საერთაშორისო კლასიფიკატორი“, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაციის (International Standards Organization - ISO) სტანდარტს,

საქართველოში დღეისათვის მოქმედებს „მსოფლიოს ქვეყნებისა და ტერიტორიების კლასიფიკატორი“, რომელიც დამტკიცებულია საქსტატის საბჭოს მიერ და შემოღებულია სამოქმედოდ 2017 წლის პირველი იანვრიდან.

მსოფლიოს ქვეყნების და ტერიტორიების კლასიფიკატორი სკ 007-2016 წარმოადგენს ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის კლასიფიკაციისა და კოდირების სისტემის შემადგენელ ნაწილს. კლასიფიკატორის ობიექტებს წარმოადგენენ სუვერენული სახელმწიფოები და ის ტერიტორიები, რომლებსაც გააჩნიათ პოლიტიკური, გეოგრაფიული ან ისტორიული თავისებურებები, და წარმოადგენენ ინტერესს საგარეო ეკონომიკური ოპერაციების, სატრანსპორტო გადაზიდვების და სხვა თვალსაზრისით.

კლასიფიკატორს საფუძვლად უდევს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (International Organization for Standardization – ISO) მიერ შემუშავებული საერთაშორისო სტანდარტი ISO 3166 "ქვეყნების სახელწოდებათა კოდები". კლასიფიკატორზე მუშაობისას გამოყენებული იქნა, აგრეთვე, გაეროს სოციალურ-ეკონომიკური კომისიის მიერ შემუშავებული მსგავსი დოკუმენტი.

კლასიფიკატორის წინა ვერსია დამტკიცებული იქნა 2003 წელს. ახალი ვერსიის მომზადების აუცილებლობა განპირობებული იყო მსოფლიოში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებებით. ამგვარ შემთხვევებს მიეკუთვნება არსებული სახელმწიფოების დაშლა და მათ ადგილზე ახალი სახელმწიფოების წარმოშობა ცალკეული სახელმწიფოებიდან ტერიტორიის გარკვეული ნაწილის გამოყოფით. ადგილი ჰქონდა, აგრეთვე, ცალკეული ქვეყნის, ან მასში შემავალი ტერიტორიების შიგნით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ცვლილებებს.

ქვეყნების სახელწოდებებში მიღებულია თანამედროვე ტერმინოლოგია. ჩამონათვალში არ არის მოყვანილი მოძველებული სახელწოდებები.

სტრუქტურულად კლასიფიკატორი შედგება შემდეგი ბლოკებისაგან:

- ქვეყნების სახელწოდების;
- ციფრული იდენტიფიცირების;
- ასოითი იდენტიფიცირების (კოდი ალფა-2, კოდი ალფა-3).

ქვეყნების სახელწოდებათა ბლოკი წარმოადგენს ქვეყნების სრული და შემოკლებული სახელწოდებების ჩამონათვალს.

ციფრული იდენტიფიცირების ბლოკი აგებულია კოდირების რიგობრივი მეთოდით სამი ციფრული ათობითი ნიშნის გამოყენებით.

ასოითი იდენტიფიცირების ბლოკი წარმოადგენს ორნიშნა (ალფა-2) და სამნიშნა (ალფა-3) კოდებს, რომლებიც შემუშავებულია ლათინური ანბანის 5 საფუძველზე და უმეტეს შემთხვევაში ვიზუალურად ასოცირდება ქვეყნების შემოკლებულ სახელწოდებებთან (ინგლისურ, ფრანგულ ან სხვა ენებზე).

ორასოიანი კოდები ISO-ს მიერ რეკომენდებულია ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლისათვის.

სამასოიანი კოდები გამოიყენება განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებსაც განსაზღვრავენ კომპეტენტური ორგანიზაციები.

ციფრულ კოდებს ის უპირატესობა აქვთ ასოით კოდებთან შედარებით, რომ მათზე არ მოქმედებს ქვეყნის სახელწოდებაში მომხდარი ცვლილებები, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ ალფა-2 და ალფა-3 კოდების ცვლილება.

2. ქვეყნების სახელწოდებათა ჩამონათვალი და მათი კოდები

2.1 ქვეყნების სახელწოდებათა ანბანური ჩამონათვალი ქართულ ენაზე და მათი კოდები

ქვეყნის შემოკლებული და სრული სახელწოდება	ალფა-2 კოდი	ალფა-3 კოდი	ციფრული კოდი
აშსტრალია ავსტრალიის თანამეგობრობა	AU	AUS	036
აშსტრია ავსტრიის რესპუბლიკა	AT	AUT	040
აშლანეთი ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა	AF	AFG	004

სურ.1.5 „მსოფლიო ქვეყნებისა და ტერიტორიების კლასიფიკატორი“, 2016.

საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა წარმართვისთვის, სავალუტო შემოსულობების და გადასახდელების აღრიცხვის, საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების,

საერთაშორისო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ოპერაციების ოპერატიული აღრიცხვისთვის, სახელშეკრულებო და საგადასახადო დაცვის კონტროლისა და სხვა მიზნისთვის გამოიყენება „ვალუტების კლასიფიკატორი“, რომელიც შემუშავებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ საერთაშორისო სტანდარტის ISO 4217 „კოდები ვალუტების და ფონდების წარსადგენად“ საფუძველზე.

ვალუტების განახლებული კლასიფიკატორი შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტის ISO 4217 “Codes for the representation of currencies and funds” (კოდები ვალუტების და ფონდების წარსადგენად”) 2015 წლის ვერსიის საფუძველზე.

ვალუტების ეროვნული კლასიფიკატორი გამოიყენება საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა წარმართვის, სავალუტო შემოსულობების და გადასახდელების აღრიცხვის, საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების, საერთაშორისო ანგარიშსწორებებთან დაკავშირებული ოპერაციების ოპერატიული აღრიცხვის, სახელშეკრულებო და საგადასახადო დისციპლინის დაცვის კონტროლის და სხვა მიზნებისათვის.

ვალუტების კლასიფიკატორის საკლასიფიკაციო ობიექტს წარმოადგენს ეროვნული ვალუტები – მსოფლიოს ქვეყნებისა და ტერიტორიების ფულადი ერთეულები.

მსოფლიოს ქვეყნების ვალუტები აღწერილია ორი სახის კოდებით:

- სამნიშნა ასოითი კოდით;
- სამნიშნა ციფრული კოდით.

ასოითი კოდი უმეტეს შემთხვევებში შედგება ორნიშნა “ალფა-2” კოდისგან (პირველი ორი სიმბოლო), რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო სტანდარტით ISO 3166 „ქვეყნების სახელწოდებათა კოდები” და ეროვნული ვალუტის სახელწოდების პირველი ასოსგან.

მაგალითად, აშშ დოლარის სამნიშნა ასოით კოდში USD პირველი ორი ასო US შეესაბამება “ალფა-2”-ის ორნიშნა კოდს, ხოლო D ნიშნავს დოლარს. სამნიშნა ციფრული კოდი გამოიყენება საინფორმაციო სისტემებში და იმ ქვეყნებში, რომლებშიც არ გამოიყენება ლათინური ალფაბეტი.

კლასიფიკატორი შეიცავს ვალუტების დასახელებების, ვალუტების ციფრული და ასოითი კოდების, ქვეყნების და ტერიტორიების დასახელებების ჩამონათვალს.

2.1 ვალუტების ჩამონათვალი და მათი კოდები

ვალუტის კოდი		ვალუტის დასახელება	ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება
ციფრული	ასოითი		
008	ALL	ლექი	ალბანეთი
012	DZD	ალჟირული დინარი	ალჟირი
032	ARS	არგენტინული პესო	არგენტინა
036	AUD	ავსტრალიური დოლარი	ავსტრალია; კირიბატი; ნაურუ; ნორფოლკის კუნძული; ტუვალუ; ქოქოსის (კილინგის) კუნძულები; შობის კუნძული; ჰერლის კუნძული და მაკრონაღლის კუნძულები
044	BSD	ბაჰამური დოლარი	ბაჰამები
048	BHD	ბაჰრეინული დინარი	ბაჰრეინი

სურ.1.6 „ვალუტების კლასიფიკატორი“ (ამონარიდი)

თავი 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკისა და დარგობრივი სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი

2.1 პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე მოქმედი ფაქტორები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი ფაქტორები და ძირითადი მოტივები გლობალიზაციის განვითარების პროცესში თანდათან იცვლება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სწარფი ზრდა განვითარებად ქვეყნებში გამოწვეულია ტრანსნაციონალური კორპორაციების გამოჩენით მომსახურების სექტორებში, გარდა რამდენიმე დარგისა, როგორცაა, მაგალითად, მონაცემთა დამუშავებისა და პროგრამული უზრუნველყოფის სექტორები. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აღნიშნულ სექტორში ემსახურება და ორიენტირებულია ძირითადად რეციპიენტი ქვეყნის ბაზრებზე და არ წარმოადგენს ექსპორტზე ან ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებულს. ეროვნული ბაზრების მიერ ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის განხორციელება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უზარმაზარი ნაკადების შემოდინება და ტექნოლოგიათა გადაცემის პროცესი ხელს უწყობს გლობალურ კორპორაციებს, განსაზღვროს, თუ როგორ მოემსახუროს ხარისხიანად საერთაშორისო ბაზრებს, როგორ მიიღოს სრული წვდომა არამობილურ რესურსებზე და გააუმჯობესოს წარმოების სისტემის ეფექტიანობა. ტრანსნაციონალური კორპორაციები სულ უფრო მზარდად ახორციელებენ ინტეგრაციის კომპლექსურ სტრატეგიებს მასპინძელ ქვეყნებში, მაგალითად, ეძებენ ისეთ ქვეყნებს, სადაც შეძლებს მობილური აქტივების ეფექტიანად დაკავშირებას არამობილურ რესურსებთან, რომელთა მეშვეობითაც აწარმოებენ საქონელსა და მომსახურებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს მასპინძელი ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის ეფექტიან ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია მიმღებ ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორების იდენტიფიცირება. პირდაპირი უცხოური

ინვესტიციების განმსაზღვრელი დეტერმინანტები ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: მიწოდების და მოთხოვნის ფაქტორებად.

საკუთრებისა და ინტერნაციონალიზაციის უპირატესობა განიხილება, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიწოდების დეტერმინანტები, ეს უკანასკნელი მოიცავს მასშტაბის ეკონომიას, პროდუქციის სასიცოცხლო ციკლს, არამატერიალურ აქტივებს და ინტერნაციონალიზაციას მაშინ, როდესაც მასპინძელი ქვეყნების ადგილმდებარეობის უპირატესობა, მოიზიდოს მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები, წარმოადგენს მოთხოვნის დეტერმინანტს.

ზოგადად მოთხოვნის დეტერმინანტები კლასიფიცირდება 3 კატეგორიად:

1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო პოლიტიკის სტრუქტურა;
2. ეკონომიკური დეტერმინანტები;
3. ბიზნესის ხელშეწყობა.

საერთო პოლიტიკის სტრუქტურა მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორცაა ეკონომიკურ-პოლიტიკური სტაბილურობა და გახსნილობა. გარდა ამისა, რეგულაციებს, რომელიც არეგულირებს ტრანსნაციონალური კორპორაციების შესვლასა და საქმიანობას მიმღებ ქვეყნებში. აღნიშნული ელემენტები მნიშვნელოვანი მახასიათებლები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასტიმულირებელი ფაქტორებია, თუმცა არასაკმარისი.

განვითარებადი ქვეყნებისათვის მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზება. პრივატიზაციის პროცესი განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვნად უწყობს ხელს 2 სახის სტრუქტურულ ცვლილებას, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად ზრდის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილს მომსახურების სფეროში, ხოლო მეორე მხრივ, პრივატიზაციის შედეგად სტიმულირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები განიხილება სხვადასხვა ასპექტით, რომელთა შორის უმთავრესია ის, რომ პრივატიზაციის შედეგად განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განიხილება, როგორც ერთჯერდი მოვლენა, თუმცა აღნიშნულ პროცესში დადებული კონტრაქტები ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს ინვესტიციების სამომავლო შემოდინებას. კომპანიებში მესაკუთრის შეცვლა ძირითადად ასოცირდება

პრივატიზებული ფირმების რაციონალიზაციას და მოდერნიზაციასთან, რასაც განაპირობებს დამატებითი კაპიტალის მიღება. საბოლოო ანგარიშით კი პრივატიზაციის პროცესი ხელს უწყობს ქვეყნის შიგნით საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას, მაგალითად, ავალდებულებს მთავრობას, განახორციელოს ეკონომიკური რეფორმები.

ეკონომიკური დეტერმინანტები. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეკონომიკურ დეტერმინანტებს საფუძვლად უდევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების პროცესში ინვესტორთა მოტივაცია. მოტივაციის მიხედვით, გამოყოფენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 3 ძირითად სახეს: რესურსებზე ორიენტირებულს, უცხოურ ბაზრებზე და ეფექტიანობაზე ორიენტირებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს.

რესურსებზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხორციელდება მაშინ, როდესაც უცხოური ფირმის მიზანია, შეიძინოს ბუნებრივი რესურსები, როგორცაა მაგალითად, ნედლეული, ნავთობი, ბუნებრივი გაზი და ა.შ. მასპინძელ ქვეყნებში, რომლებიც აღნიშნული რესურსების სიუხვით ხასიათდებიან, გლობალური კორპორაციები ინვესტიციებს ექსპორტზე ორიენტირებულ სექტორებში აბანდებენ, სადაც წარმოების ფაქტორთა ხარჯები შედარებით მცირეა. ექსპორტზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აღნიშნული ტიპი წარმოადგენს ვერტიკალურს, რამდენადაც მისი ძირითადი მიზანი და საფუძველია, გადაადგილოს წარმოების პროცესი დაბალი დანახარჯების მქონე მასპინძელ ქვეყნებში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცემული ტიპი წარმოადგენს ისტორიულად საკმაოდ მნიშვნელოვან ტიპს და თანამედროვე პერიოდშიც უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ძირითადი წყაროა ბევრი განვითარებადი ქვეყნისთვის.

უცხოურ ბაზრებზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიზანია, მოემსახუროს მასპინძელი ქვეყნის ადგილობრივ ბაზრებს, მათ ასევე უწოდებენ ჰორიზონტალურ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, რადგან ინვესტორი მიმღებ ქვეყნებში იმეორებს იმავე წარმოების პროცესს, რა საქმიანობასაც ეწევა ბაზირების ქვეყანაში. ჰორიზონტალურ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ,

ისტორიულად ასტიმულირებს მიმღები ქვეყნის ბაზრის მასშტაბი და ზრდის შესაძლებლობა. ინვესტორი სარგებლობს ბაზრის ზრდის შესაძლებლობებით, ადგილობრივად აწარმოებს იმპორტშემცვლელ საქონელს, უზრუნველყოფს და ემსახურება ეროვნულ ბაზრებს. იმპორტულ საქონელსა და მომსახურებაზე დაწესებული ტარიფები, სატრანსპორტო ხარჯები, სხვადასხვა სირთულეები მასპინძელი ქვეყნის ბაზარზე შესაძლევად ჰორიზონტალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასტიმულირებელი ფაქტორებია.

ბიზნესის ხელშეწყობა. რეციპიენტი ქვეყნის ბიზნესის გამარტივების ხელშემწყობი პროცედურებით ძირითადად ინვესტიციათა მოზიდვის სააგენტოები საქმიანობენ. აღნიშნული სააგენტოების მომსახურება მოიცავს კონსულტაციის გაწევას, აჩქარებს ინვესტიციათა ნებართვის მიღებისა და განხორციელების პროცესს. მასპინძელი ქვეყნის მთავრობები ახორციელებენ აქტიურ პოლიტიკას არა მარტო ინვესტიციათა ლიბერალიზაციის, არამედ ბიზნესის გამარტივების კუთხითაც, ამღებენ საგადასახადო შეღავათებს და, გარდა ამისა, გამოყოფენ სუბსიდიებს, ასევე უზრუნველყოფს რითაც კონკურენციას უწევს სხვა კონკურენტ ქვეყნებს, რომლებიც აქტიურად ცდილობენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. სუბსიდიების გაცემით მთავრობა დისკრიმინაციას უწევს მცირე და ადგილობრივ ინვესტორებს, რომლებიც არ სარგებლობენ აღნიშნული სტიმულებით. ეკონომისტების მტკიცებით, დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა და ფინანსური სუბსიდიები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის არაეფექტიანი მეთოდებია, ხოლო პოლიტიკოსების განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ დისკრეციული წახალისება არ წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელ დეტერმინანტს, ამგვარ წახალისებას შეუძლია გარკვეულწილად ზეგავლენა მოაძინოს ინვესტორთა გადაწყვეტილებებზე.

უცხოელ ინვესტორთა საინვესტიციო გადაწყვეტილებები მოიცავს ორ ძირითად ეტაპს: პირველ ეტაპზე ხდება ქვეყნის ადგილმდებარეობის განსაზღვრა და რეგიონში პოტენციური კანდიდატების შერჩევა, ამის შემდეგ კი უცხოელი ინვესტორის საბოლოო გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს საგადასახადო და ფისკალური წახალისება.

ინვესტიციების შემოდინებას თან ახლავს თანამედროვე ტექნოლოგიების გადაცემა რეციპიენტ ქვეყნებისთვის. უცხოური კომპანიები ნერგავენ ნოუჰაუს, აუმჯობესებენ თანამშრომლების კვალიფიკაციას, რომლებიც შემდეგ საქმდებიან ადგილობრივ ფირმებში; აძლევენ სტიმულს ადგილობრივ საწარმოებს, გააუმჯობესონ მენეჯერული შესაძლებლობები; ისარგებლონ ადგილობრივ ან საერთაშორისო ბაზრებზე უცხოური ფირმების ტექნიკით მარკეტინგის სფეროში; გლობალური კორპორაციების წარმოების მეთოდების გადაცემა რეციპიენტი ქვეყნებისთვის უზრუნველყოფს ხარისხის კონტროლს, ადგილობრივი სადისტრიბუციო არხებისა და მომწოდებლების სტანდარტიზაციას. განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარება განაპირობა ძირითადად წარმოების მასშტაბის ზრდამ და კაპიტალის ინტენსივობამ. შესაბამისად, უცხოურ კომპანიებს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით მიმღებ ქვეყნებში კაპიტალტევადი წარმოების შექმნასა და განვითარებაში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი მაკრო დონის დეტერმინანტები მოიცავს ნებისმიერი მასპინძელი ქვეყნის გარემო პირობებს, რომელიც ზეგავლენას ახდენს უცხოურ ინვესტიციათა ნაკადებზე, აღნიშნული დეტერმინანტებია:

ბაზრის მასშტაბი და პოტენციალი. მასპინძელი ქვეყნის ბაზრის სიდიდე, რომელიც ასევე გამოხატავს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ პირობებს და პოტენციურ მოთხოვნას, მნიშვნელოვანი ელემენტია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების პროცესში. რეციპიენტი ქვეყნის ბაზრის სიდიდე და პოტენციალი წარმოადგენს მნიშვნელოვან დეტერმინანტს საგარეო ბაზარზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის. ყველა განვითარებული ქვეყანა არ ახდენს ფოკუსირებას, განახორციელოს რეგიონში უცხოურ ბაზარზე ორიენტირებული ინვესტიციები. მაგალითად, ამერიკის ინვესტიციები მექსიკაში წარმოადგენს ეფექტიანობაზე ორიენტირებულს, ხოლო გერმანიის მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მექსიკაში ბაზარზე ორიენტირებულია.

ბუნებრივი რესურსები. ბუნებრივი რესურსები ისტორიულად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მნიშვნელოვანი დეტერმინანტია. მინერალური რესურსები,

ევროპულ ინდუსტრიულ ქვეყნებში და ჩრდილოეთ ამერიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდების მნიშვნელოვანი წყაროა.

საქართველო ამ მხრივ მნიშვნელოვან რესურსს ფლობს. საქართველოს ბუნებრივი რესურსები მოიცავს რესურსების შემდეგ ტიპებს¹⁴:

- მინერალური რესურსები;
- ეგზოგენური ენერგორესურსები;
- სასოფლო-სამეურნეო მიწების რესურსები;
- ტყისა და მერქნის რესურსები;
- ეგზოგენური წყლის რესურსები.

საქართველოს მინერალური რესურსული ფონდი მოიცავს 950 საბადოსა და ნახევრადმვირფასი და სანაკეთო ქვების გამოვლინებას. რესურსული ფონდის 62.8% წარმოადგენს მსხვილ (ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის) საბადოს, 30.9% - ადგილობრივი მნიშვნელობის საბადოს, 6.2% - გამოვლინებას.

საქართველოში არსებობს ერთადერთი მოქმედი - მადნეულის - მაღარო, რომელსაც ორი კომპანია - სს „მადნეული“ და შპს „კვარციტი“ - ამუშავებს. ორივე კომპანიის აქციათა საკონტროლო პაკეტი რუსული GeoProMining, Ltd. აკონტროლებს.

შრომის ხარჯები. ინვესტიციებს განვითარებად ქვეყნებში საფუძვლად უდევს შრომითი ხარჯების დაზოგვა და წარმოების ნაწილის გადაადგილება დაბალი ხელფასის მქონე ქვეყნებში. საქართველოში შრომით ბაზარზე სამუშაო ძალის დაბალი ღირებულება ქმნის ხელსაყრელ შესაძლებლობებს უცხოელი ინვესტორებისთვის, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოციალურ პირობებში ჩამოყალიბებული შრომის ორგანიზაციის შედეგად მუშაკები შეჩვეულნი არიან მკაცრ ფორმალურ კონტროლს, ზუსტ რეგლამენტაციას, დაბალ ინიციატივას და სხვა ამ თვისებებით კი ისინი ნაკლებად იზიდავს უცხოელ ინვესტორს.

მასპინძელი ქვეყნის გახსნილობა და ორმხრივი სავაჭრო გამოცდილება. ქვეყნები, რომლებიც ახორციელებენ ღია სავაჭრო პოლიტიკას, აქვთ ლიბერალური სავაჭრო

¹⁴ <http://www.nplg.gov.ge/>

რეჟიმები, ასევე ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობები და წარმოადგენენ კონკურენტუნარიანებს მსოფლიო ბაზარზე. ყოველივე აღნიშნული, ქვეყანაში პოზიტიური გარემოს შექმნას უზრუნველყოფს უცხოელი ინვესტორებითვის. ინვესტორების მიზანია ინვესტიციები ისეთ ქვეყნებში დააბანდონ, სადაც კარგად ჩამოყალიბებული საგარეო ურთიერთობები გააჩნიათ. ქვეყნებს შორის დადებული ორმხრივი შეთანხმებები თავისუფალ ვაჭრობაზე სტიმულს აძლევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, კერძოდ, ეფექტიანობაზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამოჩენას.

ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებები უზრუნველყოფს წარმოების ნაწილის ან მთლიანად წარმოების პროცესის გადატანას დაბალი დანახარჯების მქონე ქვეყნებში.

საქართველოსთვის ამ კუთხით დიდი დატვირთვის მატარებელი არის - ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA). DCFTA არამარტო ქართველი მწარმოებლებისთვის არის კარგი შესაძლებლობა ახალი ბაზრის ასათვისებლად, არამედ, იგი უცხოელი ინვესტორებისთვისაც საინტერესოა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკომუნიკაციო არხების ამუშავება იმისათვის, რომ ინვესტორებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით დავანახოთ საქართველოში ინვესტირების და ახალი საექსპორტო ბაზრის შესაძლებლობები. ამ მხრივ, კომუნიკაციების სტრატეგია მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რადგან სწორედ სწორი საკომუნიკაციო არხების გაძლიერებითაა შესაძლებელი უცხოელი ინვესტორების დაინტერესება. თუ ინვესტორს ვაჩვენებთ, რომ რომელიმე სექტორში ქვეყანას აქვს რაიმე სახით გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობა, შესაძლოა ეს სექტორი მიმზიდველი აღმოჩნდეს მისთვის და შესაბამისად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყანაში გაიზრდება.

DCFTA-ის გარე კომუნიკაციების სტრატეგიის ფარგლებში „პრაის უოთერ კუპერსმა“ (PWC) ჩაატარა კვლევა¹⁵, საიდანაც გამოვლინდა 9 სექტორი, რომელთაც DCFTA-ის ფარგლებში პოტენციური გააჩნიათ. პროექტი დიდი ბრიტანეთის „კარგი მმართველობის ფონდის“ დაფინანსებით განხორციელდა. პროექტის კონსულტანტები საქართველოს ეკონომიკისა

¹⁵ <http://eugeorgia.info/ka/>


და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით შემდეგ სექტორებს ასახელებენ:

- კენკროვანი კულტურები: მარწყვი, ჟოლო;
- თაფლი;
- საოჯახო ქიმია;
- გადამამუშავებული ხილი და ბოსტნეული;
- ღვინო;
- სამშენებლო მასალები;
- ელექტრო კაბელები;
- ქურთუკები, პალტოები;
- აბრეშუმი: აბრეშუმის ძაფი და ქსოვილი

თავისუფალი სავაჭრო რეჟიმები ხელს უწყობს ქვეყანას, ისარგებლოს მოცემული რეგიონების შიდა ბაზრით, რაც მნიშვნელოვანად გაზრდის ინვესტიციათა ნაკადებს.

მაკროეკონომიკური ფაქტორები: გაცვლითი კურსი, ინფლაცია, საგარეო ვალი. მაკროეკონომიკური სტაბილურობა მოიცავს ინფლაციის დაბალ განაკვეთს, სტაბილურ სავალუტო კურსს და მცირე საგარეო ვალს.


შეგვიძლია ვნახოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების დინამიკა უკანასკნელ წლებში:



როგორც ვხედავთ, 2012-2016 წლებში ინფლაციის მაჩვენებლები შედარებით სტაბილურია, ხოლო 2017-2018 წლებში უფრო სწრაფი ტემპებით იცვლება. სტაბილური ინფლაციის მაჩვენებელი, როგორც უკვე ავლინებთ დადებითი ფაქტორია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. თუმცა ბოლო წლების არასტაბილური მაჩვენებლები, არ არის სასურველი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს შედეგი არაა მოულოდნელი. ქართული სამომხმარებლო საქონელი გაჯერებულია იმპორტირებული საქონლით, გაცვლითი კურსის არასტაბილურობის გათვალისწინებით არსებული რყევები მოსალოდნელიც იყო.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც მოქმედებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებზე ესაა - საგარეო ვალი. საგარეო ვალის ზრდა აუარესებს ქვეყნის კრედიტუნარიანობას, ქვეყანას ექმნება პრობლემები გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებით, გარდა ამისა, იწვევს ვალუტის დევალვაციას. სავალუტო კურსის არასტაბილურობა განაპირობებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს და სხვა რისკფაქტორებს. მაღალი და არასტაბილური ინფლაციის განაკვეთი ზრდის გაურკვევლობას ქვეყნის შიგნით და აქედან გამომდინარე, წარმოიშობა საინვესტიციო რისკები.

საქართველოს საგარეო ვალის სტატისტიკას აწარმოებს საქართველოს ეროვნული ბანკი. შეგვიძლია გავეცნოთ საქართველოს წმინდა საგარეო ვალის დინამიკას:



როგორც ვხედავთ, საქართველოს საგარეო ვალი იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ საგარეო ვალი ნებისმიერი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ფინანსური რესურსია და ყველაზე ძლიერ ქვეყნებსაც კი საგარეო ვალი აქვთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რაში იხარჯება ვალი და არანაკლებ მნიშვნელოვანი - არსებობს თუ არა ქვეყანაში ვალის მართვის სტრატეგია¹⁶.

ფისკალური დეფიციტი. თუ მთავრობა ფისკალურ დეფიციტს აფინანსებს ბანკნოტების დამატებითი ბეჭდვით ან დაბეგვრით, აღნიშნული მეთოდები თანაბრად იწვევს ინფლაციურ პროცესებს და ამცირებს კაპიტალდაბანდებიდან მიღებულ რეალურ შემოსავალს. გარდა ამისა, ბევრ განვითარებად ქვეყანაში მთავრობის გადაჭარბებული შესხები ამაღლებს საპროცენტო განაკვეთს და ზღუდავს ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობას კერძო სექტორში. მთავრობას სჭირდება, ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა განახორციელოს იმისათვის, რომ გაზარდოს სახელმწიფო ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში.

¹⁶ <https://www.eprc.ge/>

გეოგრაფიული და კულტურული სიახლოვე. პირდაპირი უცხოურ ინვესტიციებზე განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში გავლენას ახდენს გეოგრაფიული სიახლოვე. მაგალითად, მაშინ, როდესაც იაპონური კომპანიები ხსნიან ფილიალებს ჩინეთსა და აზიის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში, დასავლეთ ევროპის მოწინავე ფირმებს, როგორც წესი, კომპანიის ფილიალები გადააქვთ აღ. ევროპაში მაგალითად, ავსტრიამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი წილი დააბანდა ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, ხოლო ესპანეთი გეოგრაფიული სიშორის გამო გახდა ეგრეთწოდებული “მძიმე” ინვესტორი ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის. საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის გასაყარზე, შესაბამისად, თავისი სატრანსპორტო მაგისტრალებით ქვეყანა არის ის ხიდი, რომელიც აკავშირებს მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს რეგიონებს. ესენია: ევროპა, შავი ზღვის აუზის ქვეყნები, თურქეთი, კავკასიის რეგიონი. ამ ქვეყნებს შორის საქართველოზე გადის უმოკლესი გზა დასავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიას შორის ნავთობის, გაზის და სხვა ტვირთების გადასაზიდად. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ორიენტირი უნდა გახდეს აღნიშნული რეგიონებიდან ტევების შემოყვანა, ერთობლივი კომპანიების შექმნა, რაც გაზრდის საქართველოში ინვესტიციების მოცულობას. ამ მხრივ საქართველოს, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, გააჩნია პოტენციული იყოს საინვესტიციო პროექტების განხორციელებისთვის მიმზიდველი ადგილი.

ინსტიტუციური ფაქტორები. პოლიტიკური სისტემა და არსებული ინსტიტუტების ხარისხი, სხვადასხვა მიზეზთა საფუძველზე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საქმიანობის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი დეტერმინანტია, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში:

ა) პოლიტიკური არასტაბილურობა მიუთითებს მასპინძელ ქვეყანაში შესაძლო ძალადობაზე, სამოქალაქო ომის საშიშროებაზე ან უბრალოდ სუსტი მთავრობის არსებობაზე, რაც შეაფერხებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებს;

ბ) ქვეყნები განვითარებული დემოკრატიითა და პოლიტიკური პასუხისმგებლობით უზრუნველყოფენ საიმედო საკანონმდებლო ბაზას და შესაბამისად ასტიმულირებენ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას.

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ მოლაპარაკება. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან საგრძნობლად გაიზარდა მოლაპარაკებების რაოდენობა ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები მოიცავს ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის მოგვარების საკითხებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მაგალითად, როგორცაა, მსოფლიო ბანკი, და აღნიშნული მოლაპარაკებებით ამცირებს ექსპროპრიაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ინფრასტრუქტურა. გლობალური კორპორაციების ფილიალების განთავსება მასპინძელ ქვეყნებში რამდენიმე ასპექტში დამოკიდებულია ინფრასტრუქტურის განვითარების არსებულ დონეზე, რამდენადაც კომპანიის წარმოებული პროდუქციის ქვეყნიდან გატანა მოითხოვს კარგ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას. გლობალური კორპორაციები უპირატესობას ანიჭებენ ქვეყნებს, რომლებიც ხასიათდებიან კარგად ფუნქციონირებადი ტელეკომუნიკაციებითა და განვითარებული ინტერნეტქსელებით. კომუნიკაციების სექტორი არის ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი სეგმენტი, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მაკროეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე. რეგულაციურმა ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, რომლებიც განხორციელდა კომუნიკაციების სექტორში 90-იან წლებში და რომელსაც მოჰყვა ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების გაღრმავება, მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია საქართველოს ტელეკომუნიკაციების სისტემის განვითარებაში.

კონკრეტულად ჩვენი ქვეყნის მაგალითს თუ განვიხილავთ, საქართველოში არ არის განვითარებული კაპიტალის ბაზარი და ამიტომ ფინანსური რესურსები ჯდება ძალიან ძვირი. ფინანსურ ბაზარზე მხოლოდ ბანკები არიან წარმოდგენილი და ისინი არ არიან კონკურენციაში სხვა ფინანსური ბაზრების მოთამაშეებთან, უფრო მეტად საქართველოს ფინანსური ბაზარი დუოპოლიური ხასიათისაა, არ არის განვითარებული აქციების და ობლიგაციების ბაზარი. შესაბამისად, ინვესტორს, რომელსაც არ შუძლია სხვა გზით მოიზიდოს ფინანსური რესურსი (აქციების და ობლიგაციების გამოშვებით) უწევს ბანკებთან თანამშრომლობა, სადაც საპროცენტო განაკვეთი მაღალია. ამგვარად, კაპიტალის ბაზრის განვითარება ფინანსებს უფრო ხელმისაწვდომს გახდის.

საქართველოს შემთხვევაში შეგვიძლია გამოვყოთ დადებითი და უარყოფითი ფაქტორები. უარყოფით მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია, მცირე სამომხმარებლო ბაზარი, კონფლიქტური რეგიონები, პოლიტიკური არასტაბილურობა და სხვა. რაც შეეხება დადებით მხარეებს, ამ ჯგუფში ერთიანდება იაფი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, სამუშაო ძალა, 2014 წელს ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოციაციის შეთანხმება, საერთაშორისო რეიტინგები (მსოფლიო ბანკის Doing Business-ის 2018 წლის ანგარიშში საქართველო მე-9 ადგილს იკავებს 190 ქვეყანას შორის (2017 წლის ანგარიშში მე-16 ადგილი), უმცირესობათა წარმომადგენელი ინვესტორების დაცვის მიხედვით მე-2 ადგილს, ბიზნესის დაწყების მიხედვით მე-4 ადგილს, ქონების დარეგისტრირების მიხედვით მე-4 ადგილს, ხელშეკრულებების პირობების შესრულების მიხედვით მე-7 ადგილს, კრედიტის აღების მიხედვით მე-12 ადგილს, ეკონომიკური თავისუფლების 2018 წლის ინდექსის მიხედვით საქართველო 186 ქვეყანას შორის მე-6 ადგილზეა 180 ქვეყანას შორის მე-16 ადგილზეა¹⁷ და სხვა.

საქართველო კარგ პოზიციებს ინარჩუნებს მსოფლიო რეიტინგებში, თუმცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდაზე ეს ფაქტორი უკანასკნელ წლებში ასახვას ვერ პოვებს, რაც ნიშნავს იმას, რომ განვითარების ამ ეტაპზე სხვა ფაქტორები უფრო მეტად მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. საერთაშორისო რეიტინგების ინდექსები და მათი გამოთვლის მეთოდოლოგია ხშირად იცვლება, ამიტომაც ინვესტორები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ასეთ რეიტინგებს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ შესაძლოა მთლიანი ინდექსის მიხედვით ქვეყანა დაწინაურდეს რეიტინგში, თუმცა ჩაშლილი კომპონენტების მიხედვით ზოგიერთ პუნქტში დაფიქსირდეს მნიშვნელოვანი გაუარესება.

ბიზნესის წარმომადგებლები მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად სამთავრობო რეგულაციებს ასახელებენ. დიდი განხვავებაა კანონმდებლობასა და რეალურ სურათს შორის. ამიტომ ინვესტორები თვლიან, რომ მთავრობა უნდა დაეხმაროს ბიზნესებს მაქსიმალურად მიუახლოვდნენ არსებულ რეგულაციებს.

¹⁷ <https://www.heritage.org/index/ranking>

ბოლო პერიოდში ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

საგადასახადო კოდექსში ცვლილებები, კერძოდ, ესტონური მოდელის ამუშავება გრძელვადიან პერიოდში დადებითად იმოქმედებს ბიზნესზე, განსაკუთრებით ისეთ მხსვილ ბიზნესებზე, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზე არიან ორიენტირებული და ვინაიდან მოდელის მიხედვით რეინვესტირებული კაპიტალი არ იბეგრება შესაბამისად, ინვესტორებს მეტი სტიმული ექნებათ არ გაინაწილონ მოგება და მოახდინონ ფინანსების რეინვესტირება.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

- დივიდენდის განაწილება
- სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
- გადახდები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება
- წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ

ამ რეფორმას უკვე მოაქვს შედეგები 2017 წლიდან იზრდება რეინვესტიციის მოცულობა და წილი მთლიან პირდაპირ ინვესტიციებში, მაგრამ ეს ხდება ძირითადად დანარჩენი ორი შემადგენელი კომპონენტის - კაპიტალისა და სავალო ვალდებულების ხარჯზე, რაც რათქმუნდა რეალური შედეგის მომტანი არაა. უცხოური ინვესტიციების სტრუქტურის ეს ცვლილება დასაფიქრებელია, რადგან კაპიტალში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები, უფრო გრძელვადიანია და გათვლილია უმეტესად ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რეინვესტიციაში განხორციელებული ინვესტიციები კი მოკლევადიან პერიოდში უკუგების მიღებაზეა ორიენტირებული. თუმცა კაპიტალის ნაწილში შემცირება შესაძლოა იმითაც აიხსნას, რომ ამ პერიოდში სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლის გაუარესება მოხდა და სტრუქტურის ცვლილება საერთოდ არ უკავშირდებოდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთი კომპონენტიდან მეორეში გადასვლას. ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგადასახადო რეფორმამ იმუშავა და ესაა ძირითადი მიზეზი რატომაცაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შედარებით სტაბილური ვიდრე სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები.

ინვესტიციების შესახებ საქართველოში მიღებულია შემდეგი კანონები¹⁸:

- საქართველოს რესპუბლიკის კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ (1991);
- საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ (1996);
- საქართველოს კანონი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ (2002);
- საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ (2006);
- საქართველოს კანონი სააქციო საზოგადოების საპარტნიორო ფონდის შესახებ.

საქართველოში უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები, მათი დაცვის გარანტიები განისაზღვრა 1996 წლის 12 ნოემბერს მიღებული კანონით „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“.

¹⁸ <https://matsne.gov.ge/>

კანონის მე-9 მუხლით დადგენილია ინვესტირებისათვის აკრძალული სფეროები:

- ინვესტიციები ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის შექმნაში, წარმოებაში, გავრცელებაში და გამოცდის პოლიგონების მშენებლობაში;
- უცხო ქვეყნებიდან ბირთვული და ტოქსიკური ნარჩენების ჩამარხვა-გაუვნებლობის მიზნით შემოტანაში;
- ადამიანის კლონირებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებაში;
- ნარკოტიკული საშუალებების წარმოებაში.

ინვესტორს შეუძლია სამუშაოზე მიიღოს უცხოელი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კანონის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ უცხოელ მუშაკებზე, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოში. (მუხლი 10. 3.2). საქმე ისაა, რომ უცხოელი ჯერ ერთი, იკავებს სამუშაო ადგილს და მეორე, არ იხდის გადასახადებსა და შენატანებს. ქვეყნისათვის ადგილობრივი მუშახელის დასაქმებაა უფრო სარგებლიანი, მითუმეტეს, რომ იგი დასაქმების შემთხვევაში, საშემოსავლო გადასახადს იხდის. უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებს, რომლებმაც ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აიღეს უცხოური ინვესტიციის ლიცენზია, მისი გაცემის დღიდან 5 წლის განმავლობაში შეუნარჩუნდათ „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ 1995 წლის 30 ივნისის საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათები.

2011 წელს დაარსდა სს „საპარტნიორო ფონდი“, რომელიც არის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი. ფონდს მინიჭებული აქვს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის რეიტინგი "BB", რაც საქართველოს საკრედიტო რეიტინგის თანასწორია.

„საპარტნიორო ფონდი“ შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე. ფონდის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხი და ა.შ.).

„საპარტნიორო ფონდის" საქმიანობა ხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით:

1. აქტივების მართვა - ფონდის მართვაში არსებული აქტივების ჯამურმა ბრუნვამ 2017 წელს 750 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. ფონდის აქტივების პორტფელი შედგება შემდეგი სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიებისგან:

- საქართველოს რკინიგზა - 100% წილი;
- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია - 100% წილი;
- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა - 100% წილი;
- ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი - 100% წილი;
- სს თელასი - 24.5% წილი.

საქართველოს რკინიგზა და ნავთობისა და გაზის კორპორაცია წარმოადგენენ „საპარტნიორო ფონდის" საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების მთავარ წყაროს.

2. საინვესტიციო საქმიანობა - ამჟამად ფონდის პორტფელშია რამდენიმე პროექტი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, რომელთა ჯამური ღირებულება აღემატება 2.5 მილიარდ აშშ დოლარს. ფონდი უფლებამოსილია განახორციელოს ინვესტიცია მხოლოდ საქართველოში და მისი სტრატეგია მიმართულია კერძო ინვესტორების მოზიდვასა და მხარდაჭერაზე. ფონდისთვის მნიშვნელოვანია კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერა საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში, რომლებიც გამოირჩევა განვითარების დიდი პოტენციალით. მათ შორის შემდეგ სექტორებში: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა.

დაფინანსებისთვის განიხილება მხოლოდ კომერციულად მიზანშეწონილი პროექტები, რომლებსაც გამოცდილი პარტნიორები ან დაქირავებული სპეციალიზირებული ოპერატორები მართავენ.

ფონდი ფინანსურ პარტნიორობას უწევს კერძო ინვესტორებს, რაც საშუალო და გრძელვადიან თანადაფინანსირებაში გამოისახება. იგი პასიური პარტნიორის როლში იღებს მონაწილეობას როგორც Greenfield (ახალი ბიზნეს ინიციატივები), ისე Brownfield პროექტებში (ინვესტიცია არსებულ ბიზნესში), წინასწარ განსაზღვრული გასვლის

სტრატეგიით. ფონდი პროექტში თავისი მონაწილეობის პარალელურად, ასევე ხელს უწყობს პროექტებისთვის უპირატესი დაფინანსების მოპოვებას კომერციული წყაროებიდან და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან. დაფინანსება ფონდის მხრიდან ხდება კაპიტალში მონაწილეობით და ზოგიერთ შემთხვევაში სუბორდინირებული (კონვერტირებადი და არა-კონვერტირებადი) სესხების მეშვეობით.

ფონდის თანამონაწილეობა პროექტებში არ უნდა აღემატებოდეს კაპიტალის 50%-ს. დაფინანსებასთან ერთად, ფონდი პარტნიორს და მმართველ გუნდს ეხმარება გრძელვადიანი მდგრადობის მიღწევაში.

მიუხედავად ბევრი უპირატესობისა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკისთვის შესაძლოა, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგიც ჰქონდეს¹⁹.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით ეფექტად განიხილება მისი პოზიტიური გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, ეკონომიკური ფაქტორების მთლიანი პროდუქტიულობის და რესურსების ეფექტიანი გამოყენების ზრდის ხარჯზე. უცხოური ინვესტიციები ქვეყანაში ზრდის კაპიტალის მოცულობას და ამ გზით ხელს უწყობს გამოშვების ზრდას. იგი ასევე ხელს უწყობს მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში საგარეო ვაჭრობის ზრდის ხელშეწყობით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის დასაქმებას და მნიშვნელოვანია ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისთვის. მაღალი პროდუქტიულობის გამო ხშირად ასეთი ტიპის დასაქმება უფრო მაღალ ხელფასებსა და უკეთეს სამუშაო პირობებს გულისხმობს. ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუ და პროგრესული მენეჯმენტი გლობალურ ბაზრებზე ასეთი ტიპის წარმოების თავის დამკვიდრების საშუალებას იძლევა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი უმთავრესი დადებითი ეფექტი მიმღებ ქვეყანაში სხვა სექტორებზე მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური გადადინების ეფექტია. ადგილობრივ კომპანიებს შეუძლიათ პროდუქტიულობის ზრდა თანამედროვე, გაუმჯობესებულ ტექნოლოგიებზე წვდომის საშუალებით.

¹⁹ <https://forbes.ge/>

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის კონკურენციის დონეს ადგილობრივ ბაზარზე და ამ გზით ხელს უწყობს მაღალ პროდუქტიულობას, ინოვაციებს, შედარებით დაბალ ფასებს და რესურსების უფრო ეფექტიან გადანაწილებას.

უცხოურ ინვესტიციებს შეიძლება ქონდეს ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის ეფექტი. ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი ბაზრის ათვისების მიმართულებით ხორციელდება ინვესტიციები ადგილობრივი კომპანიები მნიშვნელოვან კონკურენციას ხვდებიან, რადგან უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიები დაბალი ზღვრული დანახარჯის გამო ზრდიან წარმოების მოცულობას და იზიდავენ მომხმარებელს. შემცირებული მოთხოვნის გამო კი ადგილობრივი მწარმოებლები ამცირებენ წარმოების მოცულობას და მათი ფიქსირებული დანახარჯი ერთ ერთეულ წარმოებაზე იზრდება. მაგრამ თუ ინვესტიცია არის საექსპორტი წარმოებაზე მიმართული მაშინ ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის ეფექტი ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს.

ზოგადად ადგილობრივი ინვესტიციის გამოდევნა ორი ძირითადი მიზეზის გამო ხდება: პირველი, როდესაც ადგილობრივი ფირმები ქრებიან უცხოელი კონკურენტების მაღალი პროდუქტიულობისა და ხარისხის გამო და მეორე, უცხოელი კონკურენტების მიერ ფინანსურ რესურსებზე და გარე ბაზრებზე უკეთესი წვდომის გამო. პირველ შემთხვევაში წმინდა ეფექტი ქვეყნისთვის დადებითია, რადგან ბაზარზე რჩებიან მაღალი პროდუქტიულობის და ხარისხის ფირმები. მაგრამ მეორე შემთხვევაში ჩნდება სოციალური დანაკარგი, რომლის აღმოფხვრაც ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესების დახმარებით ხორციელდება.

მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის პირდაპირ დაფინანსების წყაროს წარმოადგენს, მას საშუალოვადიან პერიოდში შესაძლოა უარყოფითი გავლენა ქონდეს მიმდინარე ანგარიშზე. უცხოელი ინვესტორის მთავარ მიზანს ინვესტიციიდან მაქსიმალური მოგების მიღება წარმოადგენს. ინვესტიციის მიმღები ქვეყნის ზოგიერთი უპირატესობა (იაფი მუშახელი, ბუნებრივი რესურსები და სხვა) საშუალებას აძლევს ინვესტორს წარმატებული ბიზნესი აწარმოოს.

მიღებული შედეგი კი ხშირად გადის ქვეყნიდან განაწილებული მოგების სახით, რაც საგადასახდლო ბალანსზე უარყოფით გავლენას ახდენს. გარდა ამისა უცხოური ინვესტიციები ხშირად ახალისებს იმპორტს და თუ არ არის მიმართული საექსპორტო პროდუქტის წარმოებაზე მაშინ გააუარესებს მიმდინარე ანგარიშის ბალანსს.

მიუხედავად განხილული ურთიერთსაწინააღმდეგო ეფექტებისა ითვლება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითია, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნები განსხვავებულად სარგებლობენ განხორციელებული ინვესტიციებისგან. პირდაპირი უცხოური ინვესტიცია თავისთავად არ წარმოადგენს უპირატესობას ან ნაკლოვანებას, მისი დადებითი ეფექტი დამოკიდებულია მიმღებ ქვეყანაზე.

2.2 ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა

ევროკავშირთან საქართველოსთვის ეკონომიკურ ურთიერთობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში ქართული პროდუქცია ევროპის ბაზრისკენ გაიკვალავს გზას. ეს პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში ეკონომიკურ სტაბილურობასთან, რაც თავის მხრივ ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის ზრდის განმაპირობებელია.

საქართველოში არსებულ საინვესტიციო გარემო ზოგადი წარმოდგენის შექმნისათვის განვიხილოთ ინვესტიციების მაჩვენებელი როგორც დინამიკაში ასევე სხვადასხვა კრილში და არსებული მონაცემების საფუძველზე გამოვთვალოთ სხვადასხვა საშუალო სიდედეები, ასევე აბსოლუტური ზრდა, მატება, საშუალო წლიური ზრდისა და მატების ტემპები.

სტატისტიკური ანალიზი ეფუძნება ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნის მონაცემებს. მიუხედავად ევროკავშირის წევრი ქვეყნების რაოდენობის ცვალებადობისა, რაც გამოწვეულია ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკით 2004 (ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი), 2007 (ბულგარეთი და რუმინეთი) და 2013 (ხორვატია) წლებში, სხვადასხვა პერიოდში მონაცემთა შესაძარისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ქვეყნების რაოდენობის მუდმივ ფაქტორად არჩევა.

ცხრილი 2.1 საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1996-2018 წლებში²⁰.


წელი	სულ (ათასი აშშ დოლარი)	ევროკავშირის ქვეყნებიდან	წილი მთლიან FDI-ში (%)
1996	3,753.5	0.0	0.0%
1997	242,586.0	45,793.9	18.9%
1998	265,331.8	49,540.4	18.7%
1999	82,207.0	8,561.5	10.4%
2000	131,231.9	41,550.8	31.7%
2001	109,839.8	71,930.0	65.5%
2002	160,212.0	55,189.0	34.4%
2003	334,567.8	92,905.9	27.8%
2004	492,329.4	192,325.6	39.1%
2005	452,752.3	243,845.5	53.9%
2006	1,171,179.5	468,312.8	40.0%
2007	1,752,645.8	1,026,126.0	58.5%
2008	1,569,723.3	478,478.3	30.5%
2009	664,190.7	226,636.4	34.1%
2010	845,100.1	233,933.5	27.7%

²⁰ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>

2011	1,129,948.0	493,053.0	43.6%
2012	1,022,927.8	457,328.1	44.7%
2013	1,020,538.7	420,990.1	41.3%
2014	1,817,689.7	838,292.7	46.1%
2015	1,665,557.6	783,998.9	47.1%
2016	1,565,837.6	400,120.0	25.6%
2017	1,894,491.3	766,333.1	40.5%
2018*	1,232,447.9	569,265.7	46.2%

* წინასწარი მონაცემები.

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური



როგორც ვხედავთ, როგორც ევროკავშირის ქვეყნებიდან, ასევე მთლიანად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა, თუმცა ტენდენციას სტაბილურს ვერ ვუწოდებთ. თუ 1996-2004 წლებში მისი სიდიდე მეტად


უმნიშვნელო იყო და ჯამურად ნახევარ მილიარდიან მაჩვენებელსაც ვერ აღწევდა, მოვლენები რადიკალურად შეიცვალა 2005-2008 წლებში. ამ პერიოდში მაქსიმალური მაჩვენებელი დაფიქსირდა 2007 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამურმა მაჩვენებელმა 1 752 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო კონკრეტულად ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებულმა პირდაპირმა ინვესტიციებმა 1 026 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 58,5%-ა. თუმცა 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომმა და მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა უარყოფითად იმოქმედა როგორც მთლიანად ეკონომიკაზე, ასევე საინვესტიციო გარემოზე და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა. ზრდის მეორე ტალღა იწყება 2013 წელს და მის ისტორიულ მაქსიმუმს აღწევს 2017 წელს – 1 894 მლნ. აშშ დოლარი ჯამურად.

1996-2018 წლების პერიოდში საქართველოში ჯამურად განხორციელდა 19,6 მლრდ. აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია. აქედან, ევროკავშირის 28 ქვეყნიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 7,9 მლრდ. აშშ დოლარი რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 40,6% შეადგენს. დროის იგივე პერიოდში დსთ-ის ქვეყნებიდან განხორციელდა 3,9 მლრდ. აშშ დოლარის მოცულობის პირდაპირი ინვესტიციები, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 20,2%-ა.

1996-2018 წლების განმავლობაში ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში მაქსიმუმს 2001 წელს მიაღწია და მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 65,5% შეადგინა. თუმცა ნომინალურ მაჩვენებელში 2007 წელი დღემდე რეკორდულად რჩება ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მიხედვით. მიუხედავად იმისა რომ 2017 წელს მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უფრო მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, მასში ევროკავშირის ქვეყნების წილი 40,5%-ს შეადგენდა (2007 წელს 58,5%) რაც ნომინალურ მაჩვენებელში 766 მლნ. აშშ დოლარია (2007 წელს 1 026 მლნ.

აშშ დოლარი). ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გეოგრაფიული შემადგენლობისა და სტრუქტურის ცვალებადობაზე ამ პერიოდში. შემცირდა ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წილი, სამაგიეროდ გაიზარდა დსთ-ს ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების წილი 9,1%-დან - 27,1%-მდე, რამაც ჯამური მაჩვენებლის ზრდა გამოიწვია.

ამ პერიოდის ჯამური მონაცემების მიხედვით ევროკავშირის ქვეყნებს შორის უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები არიან: გაერთიანებული სამეფო - 2 197 მლნ. აშშ დოლარით (27,6%), ნიდერლანდი - 2 149 მლნ. აშშ დოლარით (27%), ჩეხეთი - 799 მლნ. აშშ დოლარით (10%) და ლუქსემბურგი - 630 მლნ. აშშ დოლარით (7,9%).



2018 წლის წინასწარი მონაცემებით, ევროკავშირის ქვეყნებიდან ჯამურად განხორციელებულმა პირდაპირმა ინვესტიციებმა შეადგინა 1 232 მლნ. აშშ დოლარი, რაც

წინა წლის მაჩვენებელზე 35%-ით ნაკლებია. მათ შორის, გაერთიანებული სამეფოდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა განისაზღვრა 204 მლნ. აშშ დოლარით, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 18%-ით ნაკლებია, ნიდერლანდიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 168 მლნ. აშშ დოლარით, რაც 53%-ით ჩამორჩება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ლუქსემბურგიდან განხორციელდა 48 მლნ. აშშ დოლარის პირდაპირი ინვესტიცია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 29%-ით ნაკლებია და ჩეხეთიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მაჩვენებელი განისაზღვრა 72 მლნ. აშშ დოლარით, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 49%-ით შემცირდა.

ცხრილი 2.2 საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნებიდან 2009-2018 წლებში.

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018*
FDI ევროკავშირიდან სულ	226.6	233.9	493.1	457.3	421.0	838.3	784.0	400.1	766.3	569.3
მათ შორის:										
გაერთიანებული სამეფო	72.4	62.3	57.2	95.5	55.2	108.9	398.8	105.5	247.4	203.7
ნიდერლანდი	34.3	55.1	245.2	35.4	158.2	376.8	158.5	72.3	356.7	167.9
ჩეხეთი	45.7	24.2	46.6	8.0	43.6	52.0	16.7	87.0	142.5	72.3
ლუქსემბურგი	9.5	7.1	43.3	42.0	91.7	109.6	106.0	88.8	68.3	48.4
დანარჩენი ქვეყნები	64.7	85.3	100.7	276.4	72.3	191.1	104.0	46.6	(48.6)	77.0
* წინასწარი მონაცემები.										
წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური										

შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში და არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება (სასესხო დავალიანების დაფარვა).

საინტერესოა უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების განხილვა სექტორულ ჭრილში. 2018 წელს, წინასწარი მონაცემებით გაერთიანებული სამეფოდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების (204 მლნ. აშშ დოლარი) 87% მოდის საფინანსო სექტორზე. დანარჩენი სექტორების ჯამი კი 13% არ აღემატება. ცხადია ისევ ვხედავთ საინვესტიციო

პორტუგელის დივერსიფიცირების დაბალ დონეს და აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ევროკავშირის წევრ უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნიდან ინვესტიციების უდიდესი ნაწილი მოდის საფინანსო სექტორზე და არა ეკონომიკის რეალურ სექტორებზე, სადაც წესით უნდა შეიქმნას სამომხმარებლო პროდუქცია, წარმოებულმა პროდუქციამ უნდა დააკმაყოფილოს ადგილობრივი სამომხმარებლო ბაზარი და გავიდეს ექსპორტზე. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებული სამეფოდან საფინანსო სექტორში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა 2018 წელს წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირდა 48 მლნ. აშშ დოლარით (21%). მეორე ადგილზე მყოფი ნიდერლანდიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების (168 მლნ. აშშ დოლარი) 49% მოდის დამამუშავებელი მრეწველობის ეკონომიკურ სექტორზე, რაც ნომინალში 82 მლნ. აშშ დოლარია და 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით 41%-ით. შემდეგ მოდის სამთმოპოვებითი მრეწველობის ეკონომიკური სექტორი (52 მლნ. აშშ დოლარი) 31%-ით, ხოლო მომდევნო პოზიციას იკავებს საფინანსო სექტორი (31 მლნ. აშშ დოლარი) 18,4%-ით. ჩეხეთიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები (72 მლნ. აშშ დოლარი) თითქმის მთლიანად მოდის ენერჯეტიკის სექტორზე 71 მლნ აშშ დოლარი, რაც 98%-ის ტოლია. რაც შეეხება ლუქსემურგიდან 2018 წელს განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციებს (48 მლნ. აშშ დოლარი), წინასწარი მონაცემებით ლიდერობს დამამუშავებელი მრეწველობის ეკონომიკური სექტორი 75% რაც ნომინალში 36 მლნ. აშშ დოლარის ტოლია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი შემადგენელი კომპონენტებია: სააქციო კაპიტალი, რეინვესტიცია და სავალო ვალდებულებები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მონაცემებს აღნიშნულ ჭრილში აქვეყნებს 2016 წლიდან, ხოლო შესაბამისი მაჩვენებლის დინამიკური მწკრივები ხელმისაწვდომია 2013 წლიდან.

2013-2018 წლების პერიოდში ევროკავშირიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ ჯამურად 3 778 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. სააქციო კაპიტალში განხორციელდა 2 275 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი ინვესტიცია,

რეინვესტიციაში 1 701 მლნ აშშ დოლარი, ხოლო სავალო ვალდებულებაში დაფიქსირდა განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციის უარყოფითი მაჩვენებელი -198 მლნ აშშ დოლარი, რაც ნიშნავს რომ ამ პერიოდში მოხდა არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ არსებული ვალდებულებების შემცირება - წინა პერიოდში აღებული სასესხო ვალდებულებებისა და სავაჭრო კრედიტების გასტუმრება ან/და არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტირების საწარმოზე სესხის გაცემა და არარეზიდენტ პირდაპირ ინვესტორებზე სავაჭრო კრედიტების გაცემა.

რაც შეეხება 2018 წლის წინასწარ მონაცემებს, ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მაჩვენებელს კომპონენტების მიხედვით, 71,7% მოდის რეინვესტიციაზე, 22% სააქციო კაპიტალზე და 6,2% სავალო ვალდებულებებზე.

ცხრილი 2. 3 FDI ევროკავშირიდან კომპონენტების მიხედვით.

პირდაპირი ინვესტიციები ევროკავშირიდან კომპონენტების მიხედვით 2013-2018* წლებში (მლნ. აშშდოლარი)						
	2013	2014	2015	2016	2017	2018*
სულ	421.0	838.2	784.0	400.1	766.3	569.3
მათშორის:						
სააქციო კაპიტალი	107.2	304.7	547.4	912.7	278.5	125.3
რეინვესტიცია [^]	182.3	312.2	139.9	210.7	447.7	408.4
სავალო ვალდებულებები ^{^^}	131.5	221.4	96.7	-723.3	40.1	35.5

*წინასწარი მონაცემები.

[^]რეინვესტიცია - სხვაობამოგება-ზარალსადადივიდენდებსშორის.

^{^^}სავალო ვალდებულებებშიაისახებასავაჭროკრედიტებიდასესხები.

როგორც ვხედავთ დინამიკაში მნიშვნელოვნად იზრდება რეინვესტიციის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე მქომედ

ფაქტორებში ჩვენ განვიხილეთ ქვეყნის საკანონმდებლო ბაზისა და საგადასახადო პოლიტიკის ფაქტორი.

საგადასახადო კოდექსში ცვლილებები, კერძოდ, 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელის ამუშავება გრძელვადიან პერიოდში დადებითად იმოქმედებს ბიზნესზე, განსაკუთრებით ისეთ მხსვილ ბიზნესებზე, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზე არიან ორიენტირებული და ვინაიდან მოდელის მიხედვით რეინვესტირებული კაპიტალი არ იბეგრება შესაბამისად, ინვესტორებს მეტი სტიმული ექნებათ არ გაინაწილონ მოგება და მოახდინონ ფინანსების რეინვესტირება. როგორც ანალიზიდან ვხედავთ რეინვესტიციის მოცულობამ 2017 წელს 447,7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა რაც 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს - 210 მლნ. აშშ დოლარს 112,5% აღემატება.

საინტერესოა ევროკავშირიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების განხილვა რეგიონულ ჭრილში. მონაცემები ხელმისაწვდომია 2013 წლიდან. 2013-2018 წლების პერიოდში ევროკავშირიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ ჯამურად 3 778 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აქედან 2 614 მლნ. აშშ დოლარი მოდის ქ. თბილისზე, რაც შეადგენს 69,2%-ს. მეორე ადგილზეა აჭარის რეგიონი - 318,4 მლნ. აშშ დოლარით (8,4%), ხოლო მას მოყვება სამცხე-ჯავახეთის რეგიონი 310,2 მლნ. აშშ დოლარით (8,2%). შენიშვნის სახით უნდა ვთქვათ, რომ საფინანსო სექტორის (კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სადაზღვევო კომპანიები), მონაცემები მიკუთვნებულია მთლიანად თბილისზე, მაგრამ მიუხედავად ამისა ანალიზი ცხადყოფს რომ ევროკავშირიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების უდიდესი ნაწილი მოდის დედაქალაქში, რეგიონების ჯამური მაჩვენებელი 2013-2018 წლებში 31%-საც ვერ აღწევს, რაც ცხადია მიუთითებს ინვესტიციების ნაკლებ დივერსიფიკაციაზე.

რაც შეეხება 2018 წელს, წინასწარი მონაცემებით, 2018 წელს ევროკავშირიდან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების (569,3 მლნ. აშშ დოლარი) 68,2% განხორციელდა თბილისში, რაც ნომინალურ მაჩვენებელში 388 მლნ. აშშ დოლარია,

მეორე ადგილზეა ქვემო ქართლის რეგიონი 74,5 მლნ. აშშ დოლარით (13,1%), ხოლო მესამე ადგილზეა სამცხე-ჯავახეთის რეგიონი 57,4 მლნ. აშშ დოლარით (10,1%).

ცხრილი 2.4 FDI ევროკავშირიდან რეგიონების მიხედვით

პირდაპირი ინვესტიციები ევროკავშირიდან რეგიონების მიხედვით 2013-2018* წლებში (მლნ. აშშდოლარი)						
	2013	2014	2015	2016	2017	2018*
სულ	421.0	838.2	784.0	400.1	766.3	569.3
მათ შორის:						
ქ. თბილისი	245.9	511.0	546.2	364.0	559.3	388.1
აჭარა	60.2	102.9	128.2	(26.2)	49.6	3.5
კახეთი	11.5	(0.2)	18.0	1.9	0.1	2.1
სამცხე-ჯავახეთი	50.4	63.9	43.0	42.4	53.1	57.4
ქვემო ქართლი	(27.7)	51.5	27.5	21.6	42.0	74.5
სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია	50.5	81.1	15.8	(14.8)	3.6	(20.4)
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-	-	20.1	-	-	-
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	-	-	(14.8)	-	-	-
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	26.4	24.0	-	7.0	57.4	44.7
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	3.7	4.2	-	4.3	1.1	19.4

*წინასწარი მონაცემები.

2.3 ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების დარგობრივი სტრუქტურა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დინამიკური მწკრივები ეკონომიკის სექტორების მიხედვით ხელმისაწვდომია 2007 წლიდან, რასაც საფუძვლად უდევს მონაცემების დამუშავება საწარმოთა ძირითადი საქმიანობის სახეების მიხედვით. თუმცა ეკონომიკის სექტორებისა და ქვეყნების ინფორმაცია კომბინაციურად ხელმისაწვდომია 2009 წლიდან.

2009-2018 წლებში ევროკავშირის ქვეყნებიდან 5 189 მლნ. აშშ დოლარის მოცულობის პირდაპირი ინვესტიცია განხორციელდა. თუ განვიხილავთ მათ სექტორების მიხედვით, ყველაზე დიდი მოცულობის პირდაპირი ინვესტიცია განხორციელდა საფინანსო სექტორში - 20,3%, ენერგეტიკის სექტორში - 17,4% და დამამუშავებელ მრეწველობაში 14,9%.


2009-2018 წლებში ევროკავშირის ქვეყნებიდან საფინანსო სექტორში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ ჯამურად შეადგინა 1 053 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო მაქსიმუმს მიაღწია 2017 წელს, როდესაც საფინანსო სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 86,3% ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელდა რაც 261,3 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. 2009-2018 წლებში საფინანსო სექტორში უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა არის გაერთიანებული სამეფო 801 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მეორე პოზიციას იკავებს ნიდერლანდი 197 მლნ. აშშ დოლარით.

ენერგეტიკის სექტორში 2009-2018 წლებში ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 903 მლნ. აშშ დოლარი, მაქსიმალური მაჩვენებელი დაფიქსირდა 2014 წელს - 186 მლნ. აშშ დოლარი, რაც ენერგეტიკის სექტორში ჯამურად განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 97,8%-ა. უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები კი არიან: ჩეხეთი 510 მლნ. აშშ დოლარით, ნიდერლანდი 304 მლნ. აშშ დოლარით და ლუქსემბურგი 127 მლნ. აშშ დოლარით.

ამავე პერიოდში დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში ევროკავშირიდან განხორციელებულმა პირდაპირმა ინვესტიციებმა შეადგინა 771 მლნ. აშშ დოლარი, მაქსიმალური მაჩვენებელი დაფიქსირდა 2018 წელს 150 მლნ. აშშ დოლარი. უმსხვილესი

ინვესტორი ქვეყნები კი არიან ნიდერლანდი 374 მლნ. აშშ დოლარით და ლუქსემბურგი 315 მლნ. აშშ დოლარით.


საინტერესოა სექტორული მონაცემების განხილვა 2018 წლის წინასწარი მონაცემების საფუძველზე:



2018 წლის წინასწარი მონაცემებით, ეკონომიკის სექტორების მიხედვით, ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული ინვესტიციების მოცულობით ლიდერობს საფინანსო სექტორი 201,5 მლნ. აშშ დოლარით, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 23%-ით ნაკლებია, მეორე ადგილზეა დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი 150,5 მლნ. აშშ დოლარით და 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 91%-ით, მესამე ადგილს იკავებს ენერჯეტიკის სექტორი 98,1 მლნ. აშშ დოლარით, რაც წინა წლის მაჩვენებელთან

შედარებით შემცირებულია 44%-ით, ხოლო შემდეგ მოდის სამთომოპოვებითი მრეწველობის სექტორი 52 მლნ. აშშ დოლარით და ის 2017 წლის მონაცემთან შედარებით 28%-ით გაიზარდა.


საინტერესოა ასევე ევროკავშირიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან.



როგორც დიაგრამით ჩანს ასევე რყევადი ხასიათის მატარებელია ევროკავშირის FDI-ს ფარდობა მშპ-ს მაჩვენებელთან. მაქსიმუმ დონეს ეს მაჩვენებელი აღწევს 2007 წელს - 6 %, მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილმაც მაქსიმუმს იგივე პერიოდში მიაღწია 10,7 % იყო. 2009-2018 წლებში კი მერყევი ხასიათის მატარებელია.

2018 წლის წინასწარი მონაცემებით, ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების წილი 1,4 %-ის ტოლია, ხოლო მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი 3 %-ს შეადგენს, რაც არც ისე მაღალი მაჩვენებელია. ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნაში უცხოური ინვესტიციების მონაწილეობა არც ისე ძლიერია და ძირითად როლს სახელმწიფო ინვესტიციები ასრულებენ. მშპ-ს ზრდაში უდიდესი წვლილი კვლავ სახელმწიფოს შეაქვს და არსებითად, სხვა ალტერნატივა არ ჩანს. ამიტომ, ლეგიტიმურად რჩება აზრი, რომ სახელმწიფომ არ უნდა შეამციროს ინფრასტრუქტურული ხარჯები, - სოციალური ხარჯების დასაფინანსებლად, რადგან სწორედ ეს ხარჯები ამომრავებს ეკონომიკას.

ინვესტიციებზე მოქმედ ფაქტორებზე საუბრისას ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც განვიხილეთ იყო იაფი სამუშაო ძალა. მსხვილი კორპორაციები განვითარებად ქვეყნებს ხშირად იყენებენ თავიანთი პროდუქციის საწარმოებლად. ამის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი მიზეზი არის ის რომ პროდუქციის წარმოებისას გაწეული დანაზოგი სატრანსპორტო ხარჯებზე ნაკლებია. საქართველოსთვის ამ მხრივ იდეალური პირობები შეიქმნა, განსაკუთრებით ასოცირების შეთანხმების გაფორმების შემდეგ, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA). ამ შეთანხმების შედეგად საქართველო მიმზიდველი გახდა არამარტო იაფი მუშახელის გამო, არამედ ახალი სადისტრიბუციო არხების წარმოქმნის გამოც. დღეს უკვე საქართველოში წარმოებული ხარისხიანი პროდუქციისთვის ხელმისაწვდომია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი - ევროკავშირის ბაზარი. ამ ფაქტორიდან გამომდინარე საინტერესო იქნება ევროკავშირიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციებისა და ევროკავშირთან საქონლით საგარეო ვაჭრობის - განსაკუთრებით კი - ექსპორტის განხილვა.



ხშირ შემთხვევაში ორივე მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით გამოირჩევა, მაგრამ არის გამონაკლისებიც. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის მაჩვენებელი უფრო სტაბილური ტემპებით იზრდება, ევროკავშირიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მაჩვენებელი კი უფრო მეტად რყევადია.

2004-2007 წლებში მაღალი ეკონომიკური აქტივობის პირობებში იზრდებოდა როგორც ევროკავშირში საქართველოდან ექსპორტის მაჩვენებელი, მაგრამ ზრდის ტემპით გაცილებით აღემატებოდა ევროკავშირის ქვეყებიდან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მაჩვენებელი. 2008 წლიდან 2010 წლის ბოლომდე მცირდება ორივე მაჩვენებლის დონე, თუმცა პირდაპირი ინვესტიციების მაჩვენებელი გაცილებით უფრო აქტიურად მცირდება. შემცირება გამოწვეული იყო 2 მიზეზით:

- 1) 2007-2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელიც ფაქტობრივად შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე მძიმე კრიზისად მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში 1929-33 წლების დიდი დეპრესიის შემდეგ.

2) 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომი, რომელმაც მნიშვნელოვნად შეანელა საქართველოს ეკონომიკის განვითარება. განსაკუთრებით იმოქმედა საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებზე, საქართველოს - როგორც სტაბილური პარტნიორის იმიჯზე. უცხოელ ინვესტორთა უმეტესობისთვის სარისკო გახდა კონფლიქტური კერის მქონე ქვეყანაში ინვესტირება.

2010 წლიდან ორივე მაჩვენებელი ხელახლა იწყებს ზრდას, 2014 წელს ზრდის ტემპი იზრდება რაც შეგვიძლია დავუკავშიროთ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტის ამოქმედებას. საქართველო უფრო სტაბილურ და საიმედო ეკონომიკურ პარტნიორად არის აღქმული ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ. ეს ასევე ცხადყოფს კავშირს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ექსპორტს შორის, ანალიზიდან ჩანს რომ ევროპელი ინვესტორებისთვის მიმზიდველია საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობების ზრდა.

მართალია რეზიდენტობისა და მოქალაქეობის ცნება ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ კიდევ ერთი მაჩვენებელი რომელიც ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობის განსახილველად გამოგვადგება ესაა რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა პარტნიორი ქვეყნების მიხედვით კონკრეტული თარიღისთვის. მსგავს ინფორმაციას ამუშავებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის ბიზნესი რეგისტრის სამმართველო. 2019 წლის ივნისის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულია 755 023 ორგანიზაცია. მათგან 48 766 საწარმოს რეგისტრაციაში იღებს მონაწილეობას უცხოეული, ხოლო მათგან ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქეები მონაწილეობას იღებენ 5 383 საწარმოს რეგისტრაციაში, რაც 11%-ია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მაჩვენებელი გაცილებით უფრო დაბალია ვიდრე 2018 წლის წინასწარი მონაცემებით მთლიან პირდაპირი უცხოურ ინვესტიციებში ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების წილი (46,2%).

შეგვიძლია ეს მონაცემი განვიხილოთ ქვეყნების ჭრილში:

ცხრილი 2.5 რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით 2019-07-08 მდგომარეობით

ქვეყანა	ორგანიზაცია	%-ული წილი
სულ	5383	100.0%
მათ შორის:		
გერმანია	811	15.1%
გაერთიანებული სამეფო	807	15.0%
ნიდერლანდი	461	8.6%
იტალია	325	6.0%
საფრანგეთი	305	5.7%
პოლონეთი	293	5.4%
ლატვია	268	5.0%
კვიპროსი	258	4.8%
საბერძნეთი	232	4.3%
ლიტვა	225	4.2%
ესპანეთი	216	4.0%
ავსტრია	167	3.1%
ჩეხეთი	129	2.4%
ბულგარეთი	113	2.1%
ესტონეთი	104	1.9%
დანარჩენი ქვეყნები	669	12.4%

რეგისტრირებულ ორგანიზაციებში ქვეყნების მონაწილეობის მიხედვით ლიდერობენ გერმანია (15.1%) და გაერთიანებული სამეფო (15%), ხოლო მათ შემდეგ მოდის ნიდერლანდი (8.6%). როგორც ვხედავთ გაერთიანებული სამეფო და ნიდერლანდი მსგავსად პირდაპირი ინვესტიციებისა აქაც მოწინავე სამეულში არიან. განსხვავება პირდაპირ ინვესტიციებთან შედარებით არის გერმანიის აღმოჩენა მოწინავე პოზიციაზე.

ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების დასახასიათებლად გამოვიყენოთ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები 1997-2018 წლებში საქართველოში ქვეყნების მიხედვით განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების შესახებ.

ცხრილი 2.6 საქართველოში განხორციელებული FDI ევროკავშირიდან 1997-2018 წლებში.

წელი	ათასი აშშ დოლარი
------	------------------

1997	45,793.9
1998	49,540.4
1999	8,561.5
2000	41,550.8
2001	71,930.0
2002	55,189.0
2003	92,905.9
2004	192,325.6
2005	243,845.5
2006	468,312.8
2007	1,026,126.0
2008	478,478.3
2009	226,636.4
2010	233,933.5
2011	493,053.0
2012	457,328.1
2013	420,990.1
2014	838,292.7
2015	783,998.9
2016	400,120.0
2017	766,333.1
2018*	569,265.7

* წინასწარი მონაცემები.

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საშუალო დონე:
$$\bar{Y} = \frac{y_1 + y_2 + y_3 + \dots + y_n}{n} = \frac{\sum y}{n}$$

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალო დონე არის 362 023,2 ათასი აშშ დოლარი.

აბსოლუტური მატება არის სხვაობა მომდევნო და წინა დონეებს შორის. თუ წინა დონედ აღებულია ერთი რომელიმე დონე, მაშინ გვაქვს საბაზისო აბსოლუტური მატება, ხოლო თუ თითოეულ დონეს აკლდება მისი მომიჯნავე წინა დონე, მაშინ გვაქვს ჯაჭვური აბსოლუტური მატება.

ჯაჭვური აბსოლუტური მატება გვიჩვენებს, რამდენით იზრდება/მცირდება დინამიკის ყოველი მომდევნო დონე წინა დონესთან შედარებით:

$$\Delta = y_t - y_{t-1}$$

საბაზისო აბსოლუტური მატება კი გვიჩვენებს რამდენით იზრდება/მცირდება დინამიკის ყოველი მომდევნო დონე პირველ დონესთან შედარებით:

$$\Delta = y_t - y_1$$

გავიანგარიშოთ აბსოლუტური მატება ევროკავშირიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციებისთვის.

ცხრილი 2.7 ევროკავშირიდან პირდაპირი ინვესტიციების აბსოლუტური მატება.

წელი	Δ (ჯაჭვური)	Δ (საბაზისო)
1998	3,746.5	3,746.5
1999	-40,979.0	-37,232.4
2000	32,989.4	-4,243.1
2001	30,379.2	26,136.2
2002	-16,741.1	9,395.1
2003	37,716.9	47,112.0
2004	99,419.7	146,531.7
2005	51,520.0	198,051.6
2006	224,467.3	422,519.0
2007	557,813.2	980,332.1

2008	-547,647.7	432,684.4
2009	-251,841.9	180,842.5
2010	7,297.2	188,139.6
2011	259,119.5	447,259.1
2012	-35,724.9	411,534.2
2013	-36,338.0	375,196.2
2014	417,302.7	792,498.9
2015	-54,293.9	738,205.0
2016	-383,878.9	354,326.1
2017	366,213.1	720,539.2
2018	-197,067.5	523,471.8

როგორც შედეგებიდან ჩანს, ჯაჭვური საშუალო აბსოლუტური მატების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 2007 წელს (558 მლნ. აშშ დოლარი). 2006 წელთან შედარებით ძალიან დიდი „ნახტომი“ გაკეთდა, რაც გამოწვეული იყო ეკონომიკის სწრაფი ზრდით, ხოლო ყველაზე მაღალი კლების მაჩვენებელი (უარყოფითი) ფიქსირდება მომდევნო 2008 წელს (-548 მლნ. აშშ დოლარი).

მაჩვენებელი ბოლო წლებშიც არასტაბილურობით გამოირჩევა. 2017 წელს საკმაოდ მაღალი 366 მლნ. აშშ დოლარის ზრდა დაფიქსირდა, მაგრამ 2018 წლის წინასწარი მონაცემებით ვხედავთ, რომ პირდაპირი ინვესტიციები ევროკავშირის ქვეყნებიდან შემცირებულია 197 მლნ. აშშ დოლარით წინა წელთან შედარებით.

საშუალო აბსოლუტური მატება. საშუალო აბსოლუტური მატება გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\bar{\Delta} = \frac{\sum \Delta}{n - 1}$$

და გვიჩვენებს, დროის მოცემულ პერიოდში საშუალოდ რამდენით იზრდებოდა (მცირდებოდა) საანალიზო ცვლადი. ჩვენს შემთხვევაში საშუალო აბსოლუტური მატება

არის 24 927 ე.ი. 1997-2018 წლებში FDI ევროკავშირის ქვეყნებიდან იზრდებოდა საშუალოდ 24 927 ათასი აშშ დოლარით. თუ ამ მაჩვენებლებს შევადარებთ დსთ-ს ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების ანალოგიურ მაჩვენებელს (12 933 ათასი აშშ დოლარი) შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ მაღალი მაჩვენებელია, მაგრამ თუ შევადარებთ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კუთხით ანალოგიურ მაჩვენებელს (55 849 ათასი აშშ დოლარი) შეგვიძლია ვთქვათ რომ არც ისე მაღალია საშუალო აბსოლუტური მატება ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით. ამ განსხვავების უმთავრესი გამომწვევი მიზეზი არის თურქეთი, რომელიც არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი გაერთიანების წევრი არაა (ევროკავშირის წევრობის კანდიდატია) და ამავე დროს საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია.

მეტად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია **ზრდის ტემპი**, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენჯერ იზრდება დინამიკური მწკრივის ესა თუ ის დონე წინა რომელიმე დონესთან შედარებით. როგორც ვიცით, აბსოლუტური მატების მსგავსად, ზრდის ტემპებიც შესაძლოა ორი მეთოდით გამოვთვალოთ, საბაზისო და ჯაჭვური. თუ წინა დონედ მიჩნეულია ერთი რომელიმე უცვლელად, მაშინ მივიღებთ საბაზისო ზრდის ტემპებს, ხოლო თუ ის იცვლება და თითოეულ დონეს ვადარებთ მის მომიჯნავე წინა დონეს, მაშინ შედეგად ვიღებთ ჯაჭვური ზრდის ტემპებს.

არსებული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია გავიანგარიშოთ ზრდის ტემპები.

საბაზისო ზრდის ტემპი გამოითვლება ფორმულით:

$$K = \frac{y_t}{y_1} * 100$$

ჯაჭვური ზრდის ტემპი გამოითვლება ფორმულით:

$$K = \frac{y_t}{y_{t-1}} * 100$$

ცხრილი 2.8 ევროკავშირიდან პირდაპირი ინვესტიციების ზრდის ტემპები.

წელი	K % (ჯაჭვური)	K% (საბაზისო)
1998	108.2	108.2
1999	17.3	18.7
2000	485.3	90.7
2001	173.1	157.1
2002	76.7	120.5
2003	168.3	202.9
2004	207.0	420.0
2005	126.8	532.5
2006	192.1	1,022.7
2007	219.1	2,240.7
2008	46.6	1,044.9
2009	47.4	494.9
2010	103.2	510.8
2011	210.8	1,076.7
2012	92.8	998.7
2013	92.1	919.3
2014	199.1	1,830.6
2015	93.5	1,712.0
2016	51.0	873.7
2017	191.5	1,673.4
2018	74.3	1,243.1

ჯაჭვური ზრდის ტემპი ყველაზე მაღალი იყო 2000 წელს 485.3% ხოლო ყველაზე დაბალი კი 1999 წელს - 17.3%. ეს გამოწვეულია იმით, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების საწყის ეტაპზე, ისევე როგორც მთლიანად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი, ასევე კონკრეტულად ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მაჩვენებელი ძალიან დაბალ ნიშნულზე იყო შესაბამისად მცირე მაჩვენებლით, ზრდა და შემცირება ძალიან მოქმედებდა მატების/კლების ტემპზე. ამ

შემთხვევაში, როგორც ვხედავთ დინამიკიდან არის ამოვარდნილი 1999 წლის მაჩვენებელი და სწორედ მის მომიჯნევე წლებში ფიქსირდება ექსტრემუმის მაჩვენებლები.

ზრდის ტემპების საშუალებით გამოითვლება საშუალო წლიური ზრდის ტემპი, რომელიც გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$K = \sqrt[n-1]{k_1 * k_2 * \dots * k_{n-1}}$$

ჯაჭვური ზრდის ტემპებისათვის საშუალო წლიური ზრდის ტემპი ფორმულა შედარებით მარტივ სახეს ღებულობს:

$$K = \sqrt[n-1]{\frac{y_n}{y_1}}$$

ჩავსვათ ფორმულაში შესაბამისი რიცხვები:

$$K = 112,75 \%$$

ანალოგიურად, როგორც საშუალო აბსოლიტურ მატებას, შევადაროთ ეს მაჩვენებელი დსთ-სა და მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელს. მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 130,1% უტოლდება, ხოლო დსთ-სთვის ეს მაჩვენებელი 126,4%-ია. როგორც ვხედავთ ორივე მაჩვენებელი მაღალია კონკრეტულად ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მაჩვენებელზე. ეს განსხვავება შესაძლოა აიხსნას ინვესტიციების ნაკადების ცვალებადი ბუნებით. მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და კონკრეტულად დსთ-ს ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მაჩვენებელი უფრო სწრაფი ტემპებით იცვლება ვიდრე ევროკავშირიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მაჩვენებელი.

მატების ტემპი მიიღება აბსოლუტური მატების შეფარდებით წინა შესაბამის დონესთან. იმის მიხედვით, თუ რომელი დონეა აღებული შესადარებლად, გვაქვს საბაზისო და

ჯაჭვური მატების ტემპი. სხვაგვარად იგი მიიღება თუ ზრდის ტემპს გამოვაკლებთ 1-ს ან 100%-ს.

საბაზისო მატების ტემპი გამოითვლება ფორმულით:

$$T_{n-1} = \frac{y_n - y_1}{y_1} * 100 = K_n - 100$$

ჯაჭვური მატების ტემპის გასაანგარიშებლად კი გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$T_{n-1} = \frac{y_n - y_{n-1}}{y_{n-1}} * 100 = K_n - 100$$

გავიანგარიშოთ მატების ჯაჭვური ტემპები არსებული მონაცემებისათვის:

ცხრილი 2.9 ევროკავშირიდან პირდაპირი ინვესტიციების მატების ტემპი.

წელი	T% (ჯაჭვური)	T% (საბაზისო)
1998	8.2	8.2
1999	-82.7	-81.3
2000	385.3	-9.3
2001	73.1	57.1
2002	-23.3	20.5
2003	68.3	102.9
2004	107.0	320.0
2005	26.8	432.5
2006	92.1	922.7
2007	119.1	2,140.7
2008	-53.4	944.9
2009	-52.6	394.9
2010	3.2	410.8
2011	110.8	976.7

2012	-7.2	898.7
2013	-7.9	819.3
2014	99.1	1,730.6
2015	-6.5	1,612.0
2016	-49.0	773.7
2017	91.5	1,573.4
2018	-25.7	1,143.1

საშუალო წლიური მატების (კლების) ტემპი გვიჩვენებს მოცემული დროის პერიოდისათვის საშუალოდმაჩვენებლის გადიდებასან შემცირებას და გაიანგარიშება საშუალოწლიური ზრდის ტემპის საფუძველზე:

$$\bar{T} = \bar{K} - 100$$

ჩვენ შემთხვევაში:

$$\bar{T} = \bar{K} - 1 = 1,13 - 1 = 0,13$$

დასკვნა

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ქვეყნისთვის შეუძლია მრავალი სიკეთის მოტანა. დადებით ეფექტებში განიხილება მისი პოზიტიური გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, ეკონომიკური ფაქტორების მთლიანი პროდუქტიულობის და რესურსების ეფექტიანი გამოყენების ზრდის ხარჯზე. უცხოური ინვესტიციები ქვეყანაში ზრდის კაპიტალის მოცულობას და ამ გზით ხელს უწყობს გამოშვების ზრდას. იგი ასევე ხელს უწყობს მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში საგარეო ვაჭრობის ზრდის ხელშეწყობით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის დასაქმებას და მნიშვნელოვანია ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისთვის. მაღალი პროდუქტიულობის გამო ხშირად ასეთი ტიპის დასაქმება უფრო მაღალ ხელფასებსა და უკეთეს სამუშაო პირობებს გულისხმობს.

საქართველოში ფინანსური ბაზრის განუვითარებლობის ფაქტორიდან გამომდინარე, ადგილობრივი ბიზნესის დაფინანსების წყაროების სიმწირე ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან წნეხს წარმოადგენს. ამის ფონზე გაცილებით იზრდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა.

როგორც ვხედავთ, საქართველოსა და ევროკავშირს შორის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები მუდმივად ღრმავდება, მათ შორის პირდაპირი ინვესტიციების თვალსაზრისით, როგორ სტატისტიკურ ანალიზში ვნახეთ 1997-2018 წლებში ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები ყოველწიურად საშუალოდ 12,7%-ით იზრდებოდა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. მსოფლიო ბანკის Doing Business-ის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით 190 ქვეყანას შორის მეცხრე ადგილზეა. საქართველომ წინა რეიტინგთან შედარებით შვიდი ადგილით გაიუმჯობესა პოზიცია, რაც რათქმაუნდა ხელსუწყობს ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებას საქართველოში - მათ შორის არარეზიდენტებისთვისაც. დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირსა და

საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების გაფორმება, რამაც გამოიწვია საქართველოში წარმოებული პროდუქციისთვის სადისტრიბუციო არხებისა და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ბაზრის გაფართოება და შესაბამისად გაზარდა ქართული ეკონომიკისადმი ინტერესი.

პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებას ხელს უშლის რამდენიმე ფაქტორი. მათგან უმნიშვნელოვანესია კონფლიქტური რეგიონების არსებობა და არასტაბილური ეკონომიკური გარემო. ამ კუთხით საჭიროა ქვეყანაში ისეთი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარება, რომელიც გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს საქართველოში და უფრო მეტად გაზრდის ინვესტორების ნდობას ჩვენი ქვეყნისადმი.

ევროკავშირიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების განხილვამ ქვეყნებისა და ეკონომიკის სექტორების მიხედვით ცხადყო, რომ მაჩვენებელი არ არის საკმარისად დივერსიფიცირებული. დიდია რამდენიმე მსხვილი პარტნიორი ქვეყნის წილი, (2018 წლის წინასწრი მონაცემებით დიდი ბრიტანეთი - 35,8%, ნიდერლანდი 29,5%, ჩეხეთი 12,7%) რაც როგორც პირდაპირი ინვესტიციების, ასევე მთლიანი ეკონომიკის მდგომარეობის რამდენიმე ქვეყნის მდგომარეობაზე და საინვესტიციო განწყობაზე მიბმას ახდენს.

ასევე, ნაკლებად დივერსიფიცირებულია ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით. სექტორულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ დიდია საფინანსო სექტორის წილი (35,4%), რაც არ განეკუთვნება ეკონომიკის რეალურ სექტორს და ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საფინანსო სექტორის როლი განსაკუთრებით დიდია უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების სექტორულ სტრუქტურაში, მაგალითად გაერთიანებული სამეფოდან და ნიდერლანდიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების სექტორულ სტრუქტურაში. საპირისპიროდ ძალიან მცირეა სოფლის მეურნეობის ეკონომიკური სექტორის წილი, რაც უარყოფითად აისახება საქართველოს საექსპორტო პოტენციალზე, რადგან ექსპორტის გასამდიერებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სწორედ სოფლის მეურნეობაში შექმნილი პროდუქტებია. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი. DCFTA-ს გაფორმება საქართველოში

წარმოებული პროდუქტისთვის შანსია ევროპულ ბაზარზე გასასვლელად, ამ მხრივ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში ინვესტირების როლი, რომლის რეალიზებაც ჯერჯერობით ვერ ხდება - DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ ექსპორტის სტრუქტურაში სასაქონლო კოზიციების მიხედვით მნიშვნელოვან ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. ამასთან, ახალი პროდუქტების (გარდა კივისა) ევროკავშირში ექსპორტი არ განხორციელებულა, რისი მიზეზიც უმეტესად ხარისხის ნაკლებობაა. თუ საქართველოში წარმოებული პროდუქცია დააკმაყოფილებს ევროკავშირის მოთხოვნებს, გავა ევროპულ ბაზარზე, ეს გაზრდის საქართველოს, როგორც მწარმოებული ქვეყნის ცნობადობას და გააღვივებს საქართველოსადმი ინტერესს.

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ აღმოიფხვრას დისპროპორციები რეგიონული განვითარების კუთხით. 2013-2018 წლებში ევროკავშირის ქვეყნებიდან პირდაპირი ინვესტიციების 69.2% თბილისში განხორციელდა, აჭარაში 8,2% პროცენტი, ხოლო დანარჩენი რეგიონების ინვესტიციები ჯამურად 23 %-ზე ნაკლებია. ეს პრობლემა ჩვენს წინაშე დგას არამარტო უცხოური ინვესტიციების თვალსაზრისით, არამედ ზოგადად. უამრავ რეგიონში მოსახლეობის რაოდენობა კატასტროფულად მცირდება, ამის ფონზე საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი დედაქალაქში ცხოვრობს. ეს იწვევს რეგიონებში არსებული უდიდესი ეკონომიკური პოტენციალის გამოუყენებლობას, ამიტომ საჭიროა განხორციელდეს ისეთი საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც ინვესტორთა ყურადღების გარეთ დარჩენილ რეგიონებში გაზრდის მოტივაციას ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. ეს კი ხელს შეუწყობს ეფექტიანად ამუშავდეს ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური დარგები, რაც თავის მხრივ შექმნის უფრო მეტ სამუშაო ადგილს რეგიონებში, მოსახლეობისთვის გაჩნდება დასაქმებისა და შემოსავლის მიღების ახალი შესაძლებლობა.

ევროკავშირიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების შემადგენელი კომპონენტების მიხედვით განხილვის საფუძველზე ვხედავთ, რომ მკვეთრად არის გაზრდილი რეინვესტიციის წილი (2018 წლის წინასწარი მონაცემებით 71%-მდე), რაც

საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების, კერძოდ, ესტონური მოდელის ამუშავებით არის გამოწვეული, რაც რათქმაუნდა დადებითი ფაქტორია, სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების შემცირების ფონზე ეს გახდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკეთრი ვარდნის შემაკავებელი მიზეზი, მაგრამ შეიძლება ყურადღების გამახვილება სხვა კომპონენტების შემცირებაზე. ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების სტრუქტურაში სააქციო კაპიტალის წილის 36%-დან 22%-მდე შემცირება, არასახარბიელო ტენდენციაა, რადგან გრძელვადიანი ინვესტიციები სწორედ სააქციო კაპიტალში ხორციელდება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, აუცილებელია ეფექტიანი პარტნიორული ურთიერთობების დამყარება სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყნებთან, სასურველია ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა ქვეყანაში, რადგან პირდაპირი ინვესტიცია ითვალისწინებს კაპიტალში გრძელვადიან მონაწილეობას და სტაბილურობის განცდის გარეშე შეუძლებელია გრძელვადიანი გეგმების დასახვა.

მნიშვნელოვანია სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება. საქართველოში ინვესტირების ერთ-ერთი დადებითი ფაქტორი - იაფი მუშახელია, მაგრამ მეორე მხრივ ეს ნიშნავს დაბალ კვალიფიკაციას და დაბალ მწარმოებლურობას, რაც თავისთავად ვერ გახდება ინვესტორისათვის მიმზიდველი. სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება ხელს შეუწყობს ინოვაციური და თანამედროვე ტექნოლოგიების დარგებისადმი უცხოელ ინვესტორთა დაინტერესების ამაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასლამაზიშვილი ნ., გელაშვილი ს., 2018. *საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა*. თბილისი;
2. ასლამაზიშვილი ნ. 2009. *საერთაშორისო სტატისტიკა* თბილისი;
3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა. 2017. *სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 2 (ლექციების მოკლე კურსი)*. თბილისი;
4. ასლამაზიშვილი ნ. 2016. *მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემები: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა*. თბილისი;
5. ბაქრაძე გ., *2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და ინტერპრეტაციები*, ეკონომიკა და საბანკო საქმე, 2014;
6. ბახტაძე ლ., ბარბაქაძე ხ., ყანდაშვილი თ. 2012. *ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები*, თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა, თბილისი;
7. გაბიძაშვილი ბ. 2005. *სტატისტიკის თეორია*. თბილისი. უნივერსალი;
8. გაბიძაშვილი ბ. 2011. *სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში*. თბილისი. უნივერსალი;
9. გელაშვილი ს. 2012. *ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება*. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი;
10. კასრაძე თ., *საინვესტიციო გარემო საქართველოში და ქვეყნის შიდა საინვესტიციო პოტენციალი*, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, N5, თბ., 2014;
11. მენქიუ გ., *ეკონომიკის პრინციპები*, გამომცემლობა „დიოგენე“, თბ., 2008;
12. ძეგისაური ლ. 2018. *პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები და სტატისტიკა საქართველოში. სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში*. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი;

13. International Monetary Fund. 1993. *Balance of Payments (BPM5)*. Washington, USA;
14. International Monetary Fund. 2008. *Balance of Payments and International Investment Position Manual, Sixth Edition (BPM6)*. Washington, USA;
15. The Organisation for Economic Co-operation and Development. 2008. *Benchmark Definition Of Foreign Direct Investment, 4 th edition*. Paris, France;
16. Doing Business 2018: *Reforming to Create Jobs*, Washington, D.C., The World Bank, 2018;
17. Doing Business 2018: *Equal Opportunity for All*, Washington, D.C., The World Bank, 2017;
18. <https://www.geostat.ge/ka> - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური / პირდაპირი უცხოური ინვესტიციები;
19. <http://www.worldbank.org> - მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა;
20. <http://www.nbg.gov.ge/> - საქართველოს ეროვნული ბანკი;
21. <https://www.rs.ge> - სსიპ „შემოსავლების სამსახური“;
22. <https://matsne.gov.ge/> - სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“;
23. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020;
24. <http://www.enreg.reestri.gov.ge> - მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრი;
25. <http://infocenter.gov.ge/ge/ს> - საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ;
26. <http://www.dcfta.gov.ge/> - ვებ-პორტალი DCFTA;
27. www.eprc.ge.